206
ეროვნული ბიბლიოთეკა

წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. ოთხშაბათი, 21 ოქტომბერი 1915 წ. № 122

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакці „Сакартвело“, поч. ящикъ № 76.

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ეღირება 5 მანეთი.

„საქართველოს“ კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 ოქტომბრიდან წლის დამლევამდე ღირს 2 მ.—70 კ.

მოვაგონებთ იმ ხელის მომწერთ, ვისაც ხვედრი ფული არ აქვს გადახდილი გაზეთის გზავნა შეუჩერდებათ.

მისამართი: г. Тифлисъ, редакція „Сакартвело“, Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

იგემეთ ნამდვილი

კახური ღვინო
„მელაანი“

ღვინის სარდაფი მელაანი თ-დ **ანდრონიკაშვილისა**
და კომპანიისა.

ოლღას ქუჩა № 32, ტელეფონი 493.

სახელოსნოს ქუდები სხვა გან-
ყოფილება არ მოეპოვება.

ვკისრულობთ

გადავაკეთოთ, გავწმინდოთ და ახლათ შევღებოთ საქალებო და სავაჟო **ქუდები**

სპეციალურად ვწმენდავთ სავაჟო
„კოტელოკებს“ და „ცილინდრებს“.

აგრეთვე ვწმენდავთ პლიუშს, ხავერდს, და ვაყენებთ ვინგლს.

ვახუჭუჭებთ და ვწმენდავთ სირაქლემას ფრთას და ბოას.

ქუდების სახელოსნო **დ. გ. გვახარიასი**
გოლოვინის პროსპ. № 39.

სახელოსნოს ქუდები სხვა გან-
ყოფილება არ მოეპოვება.

პროვინციელ აგენტების
საყურადღებოდ

აცხადებს გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია, რომ, პირველ ოქტომბრიდან გაზეთი „საქართველო“ გადაეცა კანტორა „განათლებას“. თუ რომელიმე აგენტს, რამდენი სჭირია ხსენებული გაზეთი, დაუყოვნებლივ აცნობოს კანტორა „განათლებას“.

„საქართველოს“ რედაქცია.

ახლად დაარსებული საამხანაგო

ფქვილის საწყობი „რაჭა“

ჰყიდის მეპურეებზე და კერძო პირებზე ფქვილს ხელმისაწვდომ ფასებში. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 3.
—23

გადაწერას საწერ მანქანის **საშვალებით და საწერ მანქანაზე**
მუშაობის სწავლებას
ხელმისაწვდომ ფასებში ჰკისრულობს
ი. თ. ვეკთუას კანტორა
ვერის დაღმართი № 1
ტელეფონი 17—05

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა. **ბავშვთა, შინაგან** და **ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—6 საათ, ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

კბილის ექიმმა
მამულაიშვილი
(ხოდნევისამ)
განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.
ოლღას ქუჩა, № 22.

ქ. გორში
ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი
იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.
აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

ექიმი
გ. მ. მუხაძე
იღებს **სადოსტაქრო** ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: ტატიანის ქუჩა, მიხეილის ქუჩის ახლო, სახლი 6. ზემო სართული. ტელეფონი № 3—92.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ახალი აფთიაქი
პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი
მ. დ. წინამძღვრიშვილი
ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და **იღებს შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქუჩა № 36, მეორე სართული.

გამოცდილი მასწავლებელი
ქალი

ხელმისაწვდომ ფასად ამზადებს ქალ-ვაჟთ გიმნაზიებისა და საკომერციო, რეალ და საქალაქო სასწავლებლებისათვის, აგრეთვე თბილისის ქართულ ვაჟთა და ქალთა გიმნაზიებისათვის. შეიძლება ოჯახშიც მიწვევა.

მისამართი: კირპიჩნის შესახვევი, № 12. ოთახი კალანდაძისა. ნახვა შეიძლება ყოველ-დღე.
—7

ამერიკული ვაზი

თ. დ. ჩოლოყაშვილის ჭიაურის მამულში, კახეთში, სიღნაღის მაზრაში, გაშენებულ სანერგეში იყიდება სხვა და სხვა ჯიშის **ამერიკული ვაზის რქა** და სამყნელად მომზადებული იმავე ვაზის **ფესვიანი ძირები;** აქვე იყიდება **გარეული კომშის ნერგი სამყნობად.**

შეკვეთა და პირობების გაგება შეიძლება შემდეგი მისამართით: Тифлисъ, улица Бѣлинскаго, № 2, Ираклію Тазіеву.
10—7

ქ. ქუთაისში **1915 წლის 15 ოქტომბრიდან,** გამოვა ახალი ყოველდღიური
სალიტერატურო და საპოლიტიკო გაზეთი

„მეგობარი“

გ. მაიაშვილის და კოტა აბაშიძის უახლოესი მონაწილეობით. გაზეთი ღირება წლიურად—8 მან; თვეში—80 კ.; ცალკე ნომერი 5 კაპ. პირველ ოქტომბრიდან **პირველ იანვრამდე—2 მან. 50 კაპ.** გაზეთს ჰყავს საკუთარი კორესპონდენტები საქართველოს ყველა დაბა-ქალაქებში და რუსეთის სატახტო ქალაქებშიაც.

მისამართი: ქუთაისი, ივანოვის ქუჩა. **ჭილაძის სახლი, „მეგობრის“ რედაქცია.**

რედაქტ.-გამომცემელი **დ. ი. შარაშენიძე.**
7—7

ხილეული, მადნეული და სამკურნალო წყლის
ქარხნები
მ. ე. ლაღიძე და ამხ.
თბილისში, გოლოვინის პრ. № 6. ქუთაისში, პუშკინის ქ. № 5.
ხილეული წყლის მხმარებელი საზოგადოების საყურადღებოდ!

ხილეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმრთელობის ინტერესი მოითხოვს: **სვან ყოველთვის** მხოლოდ და მარტო **მიტროფანე ლაღიძის** და ამხანაგობის ქარხნის **საუკეთესო** ხილეულ მადნეულის სამკურნალო **წყალი. მხოლოდ ლაღიძის წყალი** მზადდება **უმაღლესი ღირსების ბუნებრივი** მასალებისაგან, განსაკუთრებული წესით ნადუღი და გამოხდილი წყლით. გაუფრთხილდით ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი მეტად გამრავლდა, **მოითხოვეთ ყველგან** ნამდვილი **ლაღიძის წყალი,** გემო და სუნი საამური აქვს და ჯანმრთელობისთვის სრულიად უვნებელია.

წიგნის მაღაზია
„ახალი სიტყვა“ („НОВАЯ РѢЧЬ“).
ი. დ. კიკნაძისა.
თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირი ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ.

განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქგარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.
(წ.—47)

ჩვეულებრივ
ვასწავლი
ქართულ
„სიმღერა-გალობას“
და ვამზადებ მომღერალ-მგალობლებს მუდმივ გუნდისათვის, რომლის მიწვევაც შეიძლება ეკლესიებში და კონცერტებზე. ახალ წევრების მიღება-ჩაწერა იკითხეთ
მიხეილ კავსაძესთან
ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის შკოლის შენობაში, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკეობით, საღამოს 7—9 ს.-მდე კვირაუქმით ანჩხატის ტაძარში, სადაც მუდმივ გალობს გუნდის ნაწილი. როგორც ახლებს, ისე ძველ ჩემ გუნდის წევრთ ვთხოვ მობრძანდნენ აღნიშნულ დღეებში.
ვასწავლი მუშა ხალხსაც.

„ხარფუხის კლუბი“
საზამთრო სადგომი მიხეილის პროსპექტი № 129—131
პროგრამმა 21—25 ოქტომბრამდე.

ოთხშაბათს 21 ოქტომბერს სინემატოგრაფი
ხუთშაბათს 22 ოქტომბერს მუსიკალური საღამო ბ. პრესმანის ლოტბარობით.
პარასკევს 23 ოქტომბერს საზანდარი.
შაბათს, 24 ოქტომბერს კონცერტი.
ვირას 25 ოქტომბერს სიმებიანი ორკესტრი, ბ. პრესმანის ლოტბარობით.
სინემატოგრაფის დასაწყისი საღამოს 8 საათზე. წარმოდგენების $8^1/_2$ ს.
სტუმრები კლუბში შესასვლელად ჩვეულებრივ ფასს იხდიან.

საჭიროა
მოსამსახურე, ქალი თუ
ვაჟი სულ ერთია
ადრესი: გაგება შეიძლება რედაქციის კანტორაში ორიდან სამს საათამდე.

იყიდება
ხელმისაწვდენ ფასებში
ორი საწერი მაგიდა
ელისაბედის ქუჩა № 65. ბინა გძელიშვილისა.

საჭიროა
რემენგტონზე მომუშავე **ქალი**
მიჰმართეთ ელისაბედის ქუჩა № 65 ოთხიდან ხუთს საათამდე. ბინა № 1

თბილისი 21 ოქტომბერი.

სამკვიდრებელს გაუფრთხილდეთ.

არა არს უბედურება, რომელიც თავის გამანადგურებელ საშინელებით უფრო საბედისწერო იყოს ერისათვის, ვიდრე ტერიტორიის დაკარგვა.

ჰაერში შეუძლებელია ერი ჩამოეკიდოს და ამიტომაც მამა-პაპეულ სამკვიდრებელიდან აყრილი ერი იძულებული ხდება, ფიზიოლოგიურ არსებობის გულისათვის, სხვის სამკვიდრებელს მიაშუროს, განაპოს ადგილობრივ მკვიდრთა სიმჭიდროვე, სხვას შეედავოს და შეეცილოს იმ ფაქტორის დაუფლება-დასაკუთრებაში, რომელიც პირველი პირობაა ერის ერთეული წევრების კომპაქტურ საცხოვრებლად, მაშასადამე მთელი ერის მიწა-წყლის მთლიანობის დასაცავად. თქმა არ უნდა, ყოველი დაუპატიჟებელი სტუმარი აბეზარია, მით უმეტეს როდესაც იგი, აქაც იძულებით, ისეთ საუნჯეს უნდა დასწვდეს, რომელიც ყველაზედ უსაყვარლესია, რადგანაც იგი წყაროა მასაზრდოებელი და მარჩენალი, იმ საუნჯეს, რომელსაც ეწოდება მიწა, ტერიტორია, რომელსაც მიუბარებია თავის წიაღში წარსულ თაობათა საყვარელი ნეშთები და სადაც ჩაყრილია გაუმხმარი ფესვები ახალ-ახალ ყლორტის გამოსაღებად!

ცხადია, ცილობის ამ ნიადაგზე ადრე თუ გვიან უნდა აღმოცენდეს ხე უკმაყოფილებისა, შეწყრომ-შემოწყრომისა და შეხლა-შემოხლისა. დამხვედრი ერი თავისი საკუთარი ეროვნულ ორგანიზაციებშია მოწყობილი, საკუთარის კანონით, ზნე-ჩვეულებით განიგების, თავის სახის განსრულებას ემსახურება, თავის მოწოდებას აჰყოლია; იგი ჰქმნის თავის კულტურას და მოითხოვს, რომ მის ისტორიულ სამკვიდრებელში, სადაც მისი წინაპართა ჩამომავალნი დღესაც მკვიდრობდნენ, არავინ ბორკავდეს და ხელს არავინ უშლიდეს.

თავის მხრივ შემოსული ერი, მრავალ საუკუნის კულტურის მატარებელი, ხელს ვერ აიღებს თავის ისტორიულ ეროვნულ პიროვნებაზე და რა ფეხს მოიკიდებს, ეცდება მის შენარჩუნებას და ადამიანში ჩანერგილ ზრდის კანონის ძალით, ყოველ ღონეს იხმარს გაიშალოს და წარიმართოს თავის ეროვნულ კულტურულ შემოქმედებაში. ჩნდება ორი სხვა და სხვა ტენდენცია, არსებითად ერთი-მეორის გამომრიცხავი, ორი სხვა და სხვა სახის მისწრაფება ერთსა და იმავე სივრცეზე. ამგვარ ვითარებაში ერთნაირი კონფლიქტი აუცილებელია. იგი მარხია თვით ამოქმედებულ დასაბამთა ბუნებაში. ადამიანის სურვილებისა და შეძლების გარეშე მდებარე კანონის ძალით ამ ხელის შემშლელ მოპირდაპირე ბრძოლაში ორივე იჩაგრება. გამარჯვებულიც დანარცხებული გამოდის. მაგრამ მაინც, დამხვედრი ერი, მოსილი მთელის თავის საჭურველით, უფრო ნაკლების ზარალით გამოდის, ვიდრე მის ფარგალში შემოჭრილი, ეროვნულ-ორგანიზაცია-დაშლილი ხალხი.

მთელ ქვეყანაზედ ისტორიის სიმკაცრე და მუხანათობა არც ერთ ერს ისე არ უგემნია როგორც ებრაელთ. ეს ნიჭიერი და გამჭრიახი ხალხი მიმობნეულია ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეში, ათქვეფილია სხვა და სხვა ერში, თითქმის ყოველგან დევნილი. თავი რომ გავანებოთ ათასგვარ ზნეობრივ შებღალვას და შეურაცხებას, ის ვიკითხოთ, თუ რამდენი აწიოკება, ჟლეტა, და პირდაპირ ფიზიკური განადგურება გამოუვლია ამ საცოდავ ხალხს სხვა და სხვა ქვეყანაში: აფრიკასა თუ ისპანიაში, საფრანგეთსა თუ გერმანეთ-ავსტრეთ-უნგრეთში, რუმინეთსა, ოსმალეთსა თუ რუსეთში!!! და ეს იმიტომ რომ დაუკარგავს თავისი სამკვიდრებელი, დაუკარგავს მამა-პაპეული მიწა-წყალი და აყრილსა და დაძრულს ბინა გაუჩენია სხვა და სხვა სახელმწიფოში, სხვა და სხვა ერებ შორის! გადარეცხია სახე ეროვნული, ებრაული და იმ ხალხის სახესა და კულტურის სამოსელში გამოუთქვამს თავის შემოქმედების ძლიერება, ვის შორისაც მოუქცევია იგი დროთა ბრუნვას! დადუმდა ქნარი ებრაელი სოლომონისა და ებრაელი დავითისა!! გაისმის ებრაელი ჰაინეს მომხიბლავი სული გერმანულ ენის ფორმაში! და მერე რარიგ მოუხდებოდა ებრაელის სულს ებრაული ენა! მშვიდობით გაჰქრა სამუდამოდ. ვერ აღსდგეს, საუბედუროდ, პოლიტიკური ორგანიზმი ებრაელებისა, ვერ მოიყაროს თავი მთელი ქვეყნის ებრაელობამ ერთს მთლიან მიწა-წყალზე და ვერ მიექცეს იგი ებრაულ სახელმწიფოს სარქველ ქვეშ! და ვინ იცის რამდენი უბედურება სდარაჯობს მათ მომავალშიც სწორედ იმიტომ რომ თავისი მიწა დასამკვიდრებელი დაჰკარგვიათ!. ისე გაიტანჯა სხვისი მუჯლუგუნებით ეს საბრალო ხალხი, რომ გაჩნდა მთელი მიმართულება, სიონისტური მოძრაობა, რომელმაც მიზნად დაისახა შეისყიდოს ოსმალეთისაგან ძველი მათი სამკვიდრებელი, პალესტინა, დაემკვიდრონ იქ და შექმნან ეროვნული ორგანიზაცია! შესძლებენ კი?!

ასეთივე ბედი ეწვია, მაგრამ ყველას და სასიამოვნოთ, ას-კეც ნაკლებ მასშტაბით ჩვენს მეზობელ ხალხს, სომხობასაც. ეს პატარა ერი, დაგლეჯილია ნაწილ-ნაწილ; იგი მოედო სხვა და სხვა ქვეყანას: რუსეთს, ავსტრია-უნგრეთს, ამერიკას, ინდოეთს, საქართველოს და სხვ. დაიქსაქსა ერი, განიბნა; შესძლებენ კი თავი მოიყარონ ერთად და შექმნან ერთ ტერიტორიაზედ განფენილი პოლიტიკურ ეროვნული ორგანიზმი?! ვინ იცის? თუ წვალებისა, სხვისა და თავის გატანჯვის შემდეგ იძულებულნი იქნებიან სხვებში გაითქვიფონ. ცხოვრება დედინაცვალია, ნარ-ეკლიანი. თუ ერთხელ აუცდა ფეხი ერსა თუ კერძო პირს, მერე მშვიდობით! ეს მაგალითები მუდამ ცოცხალი თვალწინ უნდა ედგას ქართველს და ყოველ ღონეს ღონობდეს მამაპაპეული მიწა-წყლის მთლიანობა დაიცვას, თუ სწამს ეროვნული მომავალი და არ შეხარბებია მუშტის მისაღებად კარ და კარ მაწანწალად სიარული.

ბრძოლის ველზე

სერბეთიდან ოფიციალი ცნობა არ მოსულა. კერძო შემთხვევითი დეპეშებიდან სჩანს, რომ ბულგარეთ-ავსტრო-გერმანეთის შეერთებული ჯარები თანდათან შედიან სერბეთის შუაგულში. შეერთებული ჯარებისა და სერბების შეტაკება უფრო მჭიდრო და ინტენსიურ ხასიათს იღებს, რადგანაც შექმნილ მდგომარეობის წყალობით ბრძოლის პირი (ფრონტი) ერთიორად შემოკლდა. 450 ვერსიდან 200 ვერსზე ჩამოვიდა. სერბეთის ჯარი ჯერჯერობით ვერ მოიმწყვდიეს. სერბეთის ჯარი გზადაგზა ყველაფერს ანადგურებს, და ისე იხევს. ყველაფრიდან სჩანს, რომ იგი მთაშავეთში (ჩერნოგორიაში) გადაიხვეწება და თავს იქაურ მიუვალ ბუნებას შეაფარებს. თუ საქმე ასე წავიდა, ბალკანეთზე ბელგეთის მაგალითი განმეორდება. ამავე კერძო დეპეშების მიხედვით სერბეთის სამხრეთ ნაწილში პატარა ეპიზოდიური გამარჯვება რგებიათ სტრუმიცასთან ფრანგებს, მაგრამ ბულგართა მესამე არმია ნევროკოპოდან სტრუმიცისაკენ დაძრულა.

გერმანეთ-საფრანგეთის ჯარის ბრძოლის პირზე ყურადღების ღირსი არაფერი მომხდარა.

სიტყვა რიგა მთავარ შტაბის დეპეშაში ნახსენები არ არის. ამ ყურესთან მოქმედება საიდუმლოთ არის მოცული! იკობშტადტის რაიონში კვლავ გაჩაღდა საარტილერიო დუელი. გერმანელებმა აქ ქარიშხალური ცეცხლი გააჩაღეს. არტილერიამ თვის მოქმედება გააძლიერა აგრედვე დვინსკის რაიონში. გორბუნოვკის მიდამოებში გერმანელები შემოტევაზე გადავიდენ. გუშინ ნახსენები გვქონდა რომ ჩარტორიკის ჩრდილო დასავლეთით გუტილისოვსკისთან ცხარე ბრძოლა სწარმოებდა. დღეს მიღებულ ცნობებით, გერმანელებს აქ შემოუტევიათ. მაგრამ შემოტევას უშედეგოდ ჩაუვლია. გალიციაშიც ასეთივე უფერული ბრძოლაა.

საერთოდ, რიგიდან დაწყებული ვიდრე რუმინეთის საზღვრამდე მხოლოდ დროს მოსაგები და ყურადღების ამქცევი ბრძოლაა. ამასობაში კი მზადდება ძლიერი შემომტევი ჯარი, რომელმაც დაზამთრებამდე ხელთ უნდა ჩაიგდოს დღევანდელს ამინდში და პირობებში გამოსაყენებელი სასტრატეგიო პუნქტები. მხოლოდ დვინსკის აღების შემდეგ გამოირკვევა გერმანეთის გეგმა და მისი ჯარების მარშრუტიო, ბრძანა ჰინდენბურგმა. ეჭვი არაა ამდენი უშედეგო შემოტევის შემდეგ რიგა-დვინსკის რაიონში, იგი დიდის ძალებით კვლავ სცდის თავის ბედს. ამ რაიონის მაღალი სტრატეგიული მნიშვნელობა ცხადია რუსებისათვის და ამიტომაც აქ მოსალოდნელია დიდი სისხლის ღვრა.

კავკასიის ბრძოლის პირზე მოხდა შეტაკება შავის ზღვის ნაპირიდან დაწყებული, მელიაზგერთის ჩრდილო რაიონამდე. ბრძოლამ უფრო მკვეთრი ხასიათი მიიღო შავ ზღვის სანაპიროებზე. აქ ოსმალებმა ორგზობა შემოუტიეს რომ გაექციათ რუსეთის მოდარაჯე ჯარები, მაგრამ ორჯელვე უკუგდებულ იქმნენ.

მეგრი.

ომის ამბები

ჟურნალ-გაზეთებიდან

ბულგარეთის დედოფალი.

ბულგარეთის დედოფალი ელეონორა ტიმოკის ფრონტზეა და ბულგართა წითელ ჯვარს ხელმძღვანელობსო.

უსკიუბის აღება.

ბულგარებმა უსკიუბი აიღეს 12 ოქტომბერში. ქალაქში შესვლისას სერბებმა ქუჩებში ბრძოლა ასტეხეს. აქ ბრძოლა გაცილებით გაშმაგებული იყო ვიდრე ბელგრადში. არვის ინდობდნენ. სერბები ტყვედ არ ნებდებოდნენ, ვიდრე არაქათ გამოცლილი არ ეცემოდნენ ძირს.

მძიმე შთაბეჭდილება.

პარიზში მეტად მძიმე შთაბეჭდილება მოუხდენია ავსტრო-გერმანელთა და ბულგართა ჯარების შეერთებას ორშოვთან. ნეგოტინის აღებამ ხომ გაართულა შთაბეჭდილება. ავსტრიელთა ხელშია დუნაი. საჩქაროდ ნალმებს ჰკრეფენ, რომ ნავოსნობას მიჰყონ ხელი.

დუნაის დაპყრობა.

ღამით 8 ოქტომბერს ავსტრიელთა ბატარეებიდან მძიმე ზარბაზნები დაუშინეს მთელს დუნაის სანაპიროებს. განსაკუთრებით იაბლონიცისა და ორშოვის მწვერვალებიდან. სროლა გაგრძელდა მთელ ღამეს და შემდეგ ორ დღეს 8—9 ოქტ. მდინარე დუნაის გადალახვას მაინც ვერ ჰბედავდნენ. ათ ოქტომბერში დაიწყეს მდინარეზე გადასვლა. პონტონები გააწყეს ორშოვის ზემოდ 24 კილომეტრის სიშორეზე. ჯერ ქვეითი ჯარი გადავიდა, შემდეგ იაბლონიცთან გადავიდა გაუბიცების მე-12 პოლკი, 24—29 პოლ. საველე არტილერიისა. კრუშევანცთან გადავიდნენ ლანდვერის მე-15 პოლკი, 4 და 9 პონტონის ბათალიონები, 64 ქვეითი და მეექვსე საპიორის პოლკი და ერთი 137 მილიმეტრიან ზარბაზნების ბატარეია. საზოგადო რიცხვი მმორავისკეს გალაშქრებულ ავსტრიელებისა უდრის 150 ათასს კაცს. 11 ოქტომბერს სოფ. სიპლასთან გამოჩნდა ცხენოსანი ჯარი... მალე მთელი დუნაი მითს განკარგულებაში გადავიდა.

გადახვეწილნი.

სერბეთს თითქოს ალგვას უპირებენ. მრავალი გარდახვეწით სცდილობს უშველოს თავს. მარტო ერთ ტურნუ-სევერინეში 5 ათასზე მეტი სერბელი ქალი და ბავშვი შეიკრიბა. მათ ჰშველოდნენ რუმინელები. მათმა ხომალდმა „ბესარაბმა უსასყიდლოდ გადაიყვანა გარდახვეწილნი თავიანთ ტერიტორიაზე. გარდახვეწილთა მდგომარეობა საზარელია. აუწერელია ბავშვებისა და დედაკაცების არაადამიანური ღრიალი. ჯერჯერობით გარდახვეწილთ ბინა ნავთსადგურებში მიუჩინეს... მეორე მხრით დუნაის ნაპირზე სოფ. კარტალშიც არანაკლებ საცოდაობის ლული ტრიალებდა. კარტალში თავი მოიყარეს ყველა იმათ, ვინც ავსტრიელთა მიერ მოწყვეტილ იქმნენ სერბეთიდან. ღამით ხომალდებს განუწყვეტლივ ამუშავებდნენ. გარდახვეწილნი გადაჰყავთ ტურნუ-სევერინში...

გადახვეწილნი კიევში.

კიევსაც მოაღწია სერბეთიდან გადმოხვეწილთა პარტიამ. მათი სიტყვით მთელი სერბეთი აყრილთა ბანაკს წარმოადგენს. ყველა მცხოვრებნი მისდევენ ჯარს. უკან ყოველისფერს ანადგურებენ, სწვავენ... კიევიდან სერბები მოსკოვისაკენ გაისტუმრეს,

რიგის გარშემო.

სამხედრო მაჯის ცემა უმაღლეს წერტილს აღწევს რიგის გარშემო. ზარბაზანთა გრიალი და ჰაეროპლანთა უწყალო თარეში ყველას შიშის ზარს სცემს, თითქოს ყველა ეს რაღაც საშინელების წინამორბედი იყოს. უკანასკნელი თარეში ცეპელინებისა ხომ ყოველისფერს აღემატება. შუაღამისას ათ ოქტომბერს უეცრივ გაისმა დამაყრუებელი გრიალი, რამაც მთელი ქალაქი შეარყია. პირველად ადამიანს ეგონებოდა, ეს გერმანელთა „ჩემოდანიაო“, ისე ძლიერი იყო ეს ხმა. ამას მალე შრაპნელების და ტყვიისმფრქვეველთა ტკაცა-ტკუცი მოჰყვა. ყველა მიხვდა, რომ ფრთოსან ვეშაპს რუსის ბატარეებიდან ესროდნენ. რამდენიმე წუთის განმავლობაში საშინელი დუმილი ჩამოვარდა. შემდეგ უეცრივ კვლავ შეინძრა ყოველისფერი, რასაც აფეთქება-აფეთქებაზე მოჰყვა. ყველა ეს ისე სწრაფადა ხდებოდა, რომ ძნელი იყო იმის გაგება, რა მანძილზე იმყოფებოდნენ ამ დროს ცეპელინები. სულ რამდენი ყუმბარა ჩამოაგდეს, ძნელი გამოსაცნობია. ზოგმა 35 დასთვალა, ზოგმა 50, იყვნენ ზოგიერთნი, რომელნიც მეტს ასახელებდნენ. ღამის პირველ საათზე გაჰქრნენ ცეპელინები, მაგრამ მათს შემდეგ რუსები კიდევ ხანგრძლივ დაეძებდნენ პროჟექტორებით ფრთიან ვეშაპებს, რომელთა ასავალ-დასავალიც ვერ ამოაჩინეს ცის ტატნობზე.

ოსმალები ბულგარეთში

დედეაგაჩში დღემდე ოსმალებმა 50 ათასზე მეტი ჯარისკაცი გადმოსხეს, ახლა კიდევ ორ კორპუსამდე რჩეულ ჯარს გზავნიან.

სერბეთის გასაჭირი

პაშიჩი საქვეყნოდ იუწყება, სერბეთის მდგომარეობა უფრო მძიმე და აუტანელია, საჭიროა მალე მოკავშირეებმა ჯარები მოგვაშველონო. გერმანელთა და ბულგართა ჯარები გაცილებით მეტია სერბებისაზე, ამის გარდა გერმანელები და ბულგარები ფართოდ ხმარობენ მძიმე არტილერიას და ტყვია-წამლის ხარჯს ოდნავაც არ ერიდებიან.

ფრანგები ბალკანეთში

გალიპოლის ნახევარ კუნძულიდან ფრანგებმა სალონიკის გზით გადმოიყვანეს სერბეთში და მათთან ერთად ებრძვიან მტერს. ჯერჯერობით დაიკავეს ვლადატოვისა, გაბმოვისა და ტოტარიილის მწვერვალები. იერიში მიაქვთ სტრუმიცაზე.

მეფის სახლ-კარი

სერბეთის მეფის სახლ-კარი გადადის მონასტერში.

ჰერვეს პესიმიზმი

ჰერვე პესიმისტურად უყურებს აწმყო მდგომარეობას. თავის გაზეთში „Duerre sociale“-ში წუხილით ამბობს: „როგორც სჩანს, იტალია არ გაგზავნის ბალკანეთში თავის ჯარებს. მაშასადამე, დარჩა მხოლოდ ფრანგ-ინგლისელთა ფრონტი, საიდანაც სწრაფად შეიძლება მზა ჯარების გაგზავნა სერბიელთა მისაშველებლად. მაგრამ შევიძლიან განა, რომ ჩვენ, ფრანგებმა, შევასუსტოთ ეს ფრონტი, რათა აღმოსავლეთში ნახევარ მილიონიანი ჯარი გადავიყვანოთ? ან იქნებ უკეთესიც იყოს სერბეთი ბედის ანაბარად დავტოვოთ? ეს ფრიად საგულისხმიერო საკითხია და გვმართებს კარგად ჩავკვირვებაო—დაასკვნის ჰერვე.

სერბეთის დუმილი

ორი დღეა სერბეთიდან ამბები აღარ მოდის. უკანასკნელი ცნობებით სერბეთის კრიტიკულ მდგომარეობას აღნიშნავდენ. ბულგართა ჯარების დიდი ნაწილი ამ ჟამად ვრანიესა და კუმანოვის მახლობლადაა.

მიტინგი ბუქარესტში

რუმინელთა შორის ოთხთა კავშირის მოტრფიალებმა ბუქარესტში გამართეს მიტინგი და ითხოვდნენ ავსტრო-გერმანიისა და ბულგარეთის საწინააღმდეგოდ გამოსვლას. მათ დელეგატები გაუგზავნეს მეფეს. იგი ცივად შეხვდა და მოახსენა: ყოველგვარი აგიტაცია ზედმეტად მიმაჩნიაო.

საბერძნეთის კაბინეთის შემადგენლობა

„Secolo“ იუწყება, რომ საბერძნეთის კაბინეთში მეტი წილი გერმანელთა მომხრეები არიანო: განათლების მინისტრი და შინაგან საქმეთა მინისტრი აშკარა გერმანოფილებია, ფინანსთა მინისტრი წინააღმდეგია საბერძნეთის ომში ჩარევისა. იუსტიციის მინისტრი და გზათა მინისტრი არა ერთხელ გამოვიდნენ და პროტესტი განაცხადეს ინგლის-ფრანგების ჯარების სალონიკში გადმოსვლის შესახებ. ზაიმსი მტკიცედ სდგას ნეიტრალიტეტის დასაცავად.

ალბანეთიც ახმაურდა

ალბანეთიც ახმაურდა. მათმა რაზმებმა თარეში დაიწყეს, სერბეთს შესიენ და ბევრი საგულისხმიერო ადგილი აიღეს.

სამინისტროს რყევა.

სამინისტროს რყევას განიცდის საფრანგეთი. უკვე მთელი კაბინეთი შეიცვალა. ასეთსავე რყევაშია ინგლისის პალატა. აქ მღელვარებას იწვევს კონსკრიპციის საკითხი. ამის მოწინააღმდეგებმა განსაკუთრებული მანიფესტი გამოუშვეს, სადაც ამტკიცებენ, რომ კონსკრიპცია დამღუპველი იქმნება და ინგლისი ველარ შესძლებს განაგრძოს ძლევამოსილი მსვლელობაო. ყველაზე უკეთესი ისევ ნებსითი სამსახურია. მარტო ერთი ცდაც კი რო კონსკრიპცია შემოღებულ იქნეს მეტად ცუდ გავლენას იქონიებს მასაზე, თუნდა ვთქვათ, მუშებზე. ისევ სჯობია, ომში გასვლა მსურველთა ნება-ყოფლობას დავუმორჩილოთო. მანიფესტზე ხელს აწერს რამდენიმე გენერალი, როგორც, მაგალითად, ჰობგაუზი, ოლდენი და უაიტჰაუზია.

სერბეთში

ავსტრო-გერმანელები აღმოსავლეთისკენ მიიწევენ, დრინა გადალახეს და ახლა ვიშეგრადის აღმოსავლეთით იჭერენ პოზიციებს. მათი ოპერაციების მიზანია იუჟიცის აღება, რათა სერბებს ზურგით მოექცნენ და აღარ გაუშვან-ვალიევოფრაგუევაცისკენ. კევეზისა და გალვიცის ჯარები სამხრეთისაკენ მიიწევენ, აიღეს ლუკავიცისა და სლატანის პოზიციები, აგრეთვე დაიჭირეს კოსმასისა და კოსტუშიცის მწვერვალები. ამჟამად გეზი დაჭერილი აქვს ალექსანდროვო-ორლიევოს ასაღებად.

გამოურკვეველი მდგომარეობა

რუსეთის სამხედრო მიმომხილველნი ერთხმად აღიარებენ, რომ ასეთი სერიოზული და გამოურკვეველი მდგომარეობა არ გვინახავსო. რა სურთ გერმანელებს, ან რად უტევენ რუსის ჯარებს, ან რად ჩერდებიან? არის ეს დემონსტრაცია, თუ ნამდვილი იერიშები? შესაძლებელია, ჯართა ახალს გადაჯგუფებას ახდენენ და ახალს გეგმას იმუშავებენ საერთო შემოტევისთვისაო.

ზავის მზადებაში

ამბობენ, ზავისთვის ნიადაგს თვით იმპერატორი ვილჰელმი ამზადებსო. მას მხარს უჭერენ: პრეზიდენტი ვილსონი და პაპი. ზავზე ლაპარაკს სამთავე ერთად დაიწყებენო.

უკანასკნელი ფოსტა

სერბეთის სამარი ფრონტი ჩრდილო აღმოსავლეთით 450 ვერსით შემოკლდა. ველესთან ბულგარები საფრანგეთის ჯარმა უკუაქცია. სერბეთის ჯარს მოწინააღმდეგეთა ჯარის რკალი არ არტყიათ. სერბებს თუ გაუჭირდათ სერბები ყველაფერს გაანადგურებენ და ალბანეთს ისე დასტოვებენ.

— დვინის რაიონში ბრძოლა განახლებულა და ამ ჟამად იგი მეტის სიმკაცრით სწარმოებსო.

— რუსების მოძრაობა გალიციის მხარეს შეჩერებულია. ალბად იმის მიზეზით, რომ უდიერი წვიმა მოდისო.

— სტრუმიცთან (სერბეთში) დიდ ბრძოლას ელიან.

— ბულგარების ცნობით ომი ხანგრძლივ გასტანსო.

— მოკავშირენი აპირობენ დიდ გალაშქრებას, რაიც ბალკანეთის ბედს ან ერთის ან მეორის სასარგებლოდ გადასწყვეტავს.

— გერმანელების ცნობით ჩრდილო სერბეთი გერმანელთა ჯარის ხელში იმყოფება.

ბულგარებმა დაიჭირეს ზაიჩარი და პიროტი. ფრანგებს სტრუმიცის ხაზი უჭერიათ იშტიმისკენ მიილტვიან.

შტაბის დეპეშები

პეტროგრადი. 19 ოქტომბ. ოფიციალი. კანგენის ტბის ჩრდილოეთით გერმანელებს უნდოდათ გამოელაშქრნათ, მაგრამ ამაოდ. ამ ბრძოლის დროს თავი ისახელეს ლატიშებმა. იაკობ-შტადტის ფრონტზე მკვირცხლი თოფისა და საარტილერიო სროლაა. დვინსკის რაიონში ძველებურად საარტილერიო ცეცხლი მძვინვარებს ორთავე მხრით. გარბუნოვკის რაიონში გერმანელთა ჯარების ერთი ნაწილი შეეცადა იერიშით წამოსულიყო. შემდეგ, სამხრეთით, პსიპიატამდე აღსანიშნავი არა არის რა. 18 ოქტომბერს ღამით ავსტრო-გერმანელები იერიშით წამოვიდნენ ჩარტორისკის ჩრდილო-დასავლეთით, გუტი-ლისოვსკის რაიონში. ამავე დროს ცხარე ბრძოლა ასტყდა რუდნის რაიონში. რუსებმა ყველა იერიში მოიგერიეს, თუმცა მტრის სისასტიკეს საზღვარი არა ჰქონდა. შემდეგ თვითონ რუსებმა შეუტიეს კონტრ-იერიშით და ტყვედ წამოიყვანეს 7 აფიცერი და 400 ჯ. კ. ავსტრიელი. სოფ. კომასოვის რაიონის დასავლეთით რუსებმა თხრილებიდან ხიშტებით ამოჰრეკეს ავსტრიელები. 18 ოქტომბ. გალიციაში რუსებმა ბურუსით ისარგებლეს და სოფ. პოკროპინოვთან აიღეს მტრის რამდენიმე წყება თხრილი. მათ მაშინვე კონტრიერიშით შეუტიეს, მაგრამ რუსებმა შეაჩერეს. სასტიკი ბრძოლის შემდეგ რუსებმა აიღეს სოფ. სემიკოვცე. ამ სოფელს იცავდნენ გერმანელები. მეტი წილი დახოცილია, დანარჩენები ტყვედ წამოიყვანეს. ტყვეებისა და დავლის რაოდენობა ჯერ გამოურკვეველია.

ბალტიის ზღვაში. რუსის ნალმოსანმა დაიჭირა გერმანელთა ჰიდროპლანი. მფრინავი დატყვევებულ იქმნა.

კავკასიის ფრონტი. 17 ოქტ. მთელ ფრონტის გასწვრივ შავი ზღვიდან ჩრდილო მელიაზგერთამდე მოწინავე რაზმთა შეტაკებაა. განსაკუთრებით მკვირცხლი ხასიათი მიიღო შავიზღვის რაიონში, სადაც ოსმალნი სცდილობდნენ რუსთა სადარაჯოების ხელში ჩაგდებას, მაგრამ უკუგდებულ იქმნენ.

ძველი და ახალი.

ნ. ნიკოლაძის ხელახალი მოწოდება დიდმნიშვნელოვან საქმის მეთაურათ, დროის მაჩვენებელ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ერთი ხანია ეს ღვაწლ-შემოსილი ადამიანი ჩრდილში იდგა და ამ ჩრდილს აყენებდნენ არა ასწლოვანი მუხანი, არამედ აწლნი და ღრინჯოლანი ჩვენის ცხოვრებისა. მაგრამ შეიძლებოდა განა ასეთ ასწლოვან მუხის დაჩრდილვა პატარა მცენარეებისაგან? და აი, როცა საქმემ გამოცდილი ადამიანი მოითხოვა, ნ. ნიკოლაძე კვლავ გამოჩნდა ჩვენი ცხოვრების სარბიელზედ. ცხადია, რომ ნიკოლაძე აქამდისაც საზოგადო საქმეს უდგა სათავეში ჭკუა, ტალანტი, ცოდნა, გამოცდილება არასოდეს არ დაიმალება, საქმე თითონ მიღოღავს ასეთ ადამიანებთან, თუნდაც ისინი უფრთხოდნენ მას, ან გაუგებრობით გადაყენებულნი იყვნენ საქმისაგან. როგორც საკმეველი მიილტვის მუდამ ზეცისკენ, რადგანაც ყოველ სურნელოვან ოხშივარს ეთერისკენ აქვს მისწრაფება, ისე ადამიანის მიუკერძებელი სინიდისი დაეძებს მუდამ მას, ვინც ღირსია საზოგადოებრივი ყურადღებისა. მაგრამ მას მაინც წარსულის ადამიანათ სთვლიდნენ.

ჩვენში ხშირად ლაპარაკობენ ძველსა და ახალზედ. ძველი სამუდამოთ წასული ჰგონიათ, ახალი სავსებით მოსული და ამ შემცდარ აზროვნების წყალობით საქმე ხშირად ილუპება. მაგრამ ასეა ეს? მართილია რომ ძველი სამუდამოთ წავიდა და ახალი სავსებით მოვიდა, სავსებით გაბატონდა? ცხოვრება სცენას ჰგავს, სადაც მოქმედების გათავების შემდეგ დეკორაციებს არა სწვავენ. რათა? იმიტომ რომ ისინი შემდეგ მოქმედებაშიაც გამოდგებიან, შემდეგი პიესისთვის არიან საჭირონი. ასევე არიან ადამიანებიც. მათ ნაყოფიერ ცხოვრებაში არიან მომენტები, როდესაც ისინი წინ აღარ მიდიან. ისინი დაბადებულან თავის შესაფერ დროსთვის, თვის საქმეთა ციკლისთვის და მათ სიცოცხლის ბოლო დღეებში მათი რწმენა და მათი შეხედულება ისეთ სიმტკიცეს აღწევს, რომელთანაც ბრძოლა ახალთაობისათვის მეტად ძნელია. მაგრამ რწმენის სიმტკიცე თავის-თავად უარყოფითი მოვლენა არ არის და, ასე გასინჯეთ, აუცილებელ პატივისცემასაც კი მოითხოვს ყველასგან. ხანგადასულობის გამო რომ კაცმა კაცის ღვაწლი დაივიწყოს, ეს იმას ნიშნავს, ისტორია დაივიწყოს, და განა რა იქნება ჩვენი დღევანდელი ცხოვრება უისტორიოთ—ოაზისი გადაკარგული უდაბნოში! აი რატომ არის საჭირო დახსომება ისტორიისა და არა მარტო ისტორიისა, ადამიანებისაც და ეს მით უმეტეს, რომ დრომ თავის წინმსვლელობაში ხშირად პირის შემობრუნება იცის, და მაშინ საუკეთესო მცოდნენი ამ შემობრუნებულ დროისა სწორედ ეს ადამიანები არიან ხოლმე.

და ეს რომ ასეა, დრომ რომ მართლა პირის შემობრუნება იცის, ნათელი იქნება ჩვენთვის, თუ ცხოვრებას იმავ სცენას შევადარებთ. როგორც ყოველი პიესა თავის დასასრულისკენ მიისწრაფვის და იმავ დროს ადგილის მორთულობას—დეკორაციებს იმეორებს, ცხოვრებაც თავის წინმსვლელობაში ძველ დროებს იმეორებს.

არსად არ არის ახალთაობა ისე ამპარტავანი, როგორც ჩვენში. მას ახასიათებს სრული მოურიდებლობა ძველებისადმი, უპატივცემულობა მათ მოღვაწეობისადმი. სადა ძევს ფესვი ასეთის შემცდარის შემეცნებისა? იმ კეთილშობილ აზრში, რომელსაც დასაწყისი ალბათ ბუნების წიაღში აქვს, რომ ცხოვრება ახალგაზდობას ეკუთვნის. მაგრამ ეს მხოლოდ პარადოქსია. ჯერ კიდევ დამტკიცებული არ არის, რა სჯობია, ახალგაზდობა—ტემპერამენტი, თუ ხნიერობა—გონიერება? ორივე, ახალგაზდობაც და ხნიერებაც ღვინოსა და მაჭარს შეგვიძლიან შევადაროთ და თუ ეს შედარება სწორია, მაშინ ბევრი გამოჩნდება ისეთი, რომელიც ღვინოს მაჭარზე არ გასცვლის. თავის ,,დღიურში“ ბერნე ამბობს: ,,ცხოვრება ახალგაზდებს ეკუთვნისო!“ მაგრამ ჩვენ უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ ბერნე ამას სწერდა მაშინ, როცა უკვე თითონ ახალგაზდა აღარ იყო და ეს იყო მხოლოდ ხარკი, გაღებული მის მიერ ახალგაზდობისადმი, რომელსაც იგი ცხოვრებისკენ მოუწოდებდა. თავისდაკვალად ახალგაზდობამაც უნდა გაიღოს ხარკი მადლობისა და პატივისცემისა მოხუცთადმი და სთქვას:—ცხოვრება გეკუთვნოდათ თქვენ, თქვენგან მივიღეთ ის! და ეს იქნება შერიგება ძველისა და ახლისა. ასეთი ადგენა ქართული ცხოვრების ყველა ლაზარეთა, ჩვენს ახალთაობას და ახალგაზდობას სარგებლობის მეტს არას მოუტანს. უნდა გამოვტყდეთ, რომ ჩვენ თანამედროვე ქართველებს მასწავლებლები არა გვყავს. ჩვენი თაობა უდედმამოდ დაბადებულ არსებას ჰგავს, რომელსაც მემკვიდრეობა, მართალია, დაჰყვა, მაგრამ სად, ან ვისგან, მან ეს არ იცის. აი რატომ არის საჭირო, გამოვსძებნოთ ჩვენი ცოცხალი მამები, რომლებიც გვიჩვენებდნენ მიჯნებს ამ მემკვიდრეობისას. ის სასტიკი, თუმცა აუცილებელი კრიტიკა ძველისა ახლისაგან, რომელიც ჩვენში მოხდა, თავის ნაყოფს ახლა იმკის. ამ გამოყოფვაში და ამ კრიტიკაშიც ბევრი რამ იყო სავალდებულო, რაც უნდა ჩაედინა და ჩაიდინა კიდეც ახალთაობამ, მაგრამ ამ სისასტიკეში მან ისეთივე შეცდომა გააკეთა, რაც იმ თაობამ, რომელსაც ჩვენ ეხლა ვებრძვით და რომელთან შერიგება კვლავ საჭირო გახდა. მეორმოცე წლების თაობის ადგილი დაიკავა მესამოცე წლების თაობამ. მეორმოცე წლების თაობის ხალხში კი პოლიტიკური ძარღვი მეტი იყო, ვიდრე მათ მემკვიდრეებში. ალექსანდრე ბატონიშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, გიორგი ერისთავი, დიმიტრი ყიფიანი, დოდაშვილი და ფილადელფოს ბერი—ეს ის სახელებია, რომლებიც გადაბმულია 1811—1832 წლის ამბებთან. ჩვენ ეხლა მათ რომანტიკოსებს ვეძახით, მაგრამ ნამდვილად ეს იყო ხალხი, რომელთაც ჯერ კიდევ არ გაეწყვიტათ კავშირი წარსულთან. მესამოცეთა თაობა მათ საქციელს მდუმარებით შეხვდა დ ყველაფერს შინაური საქმიანობა ამჯობინა, საქმიანობა კულტურული, გარეშე ყოველივე პოლიტიკისა. და როდესაც მესამოცე წლების თაობა ბოლონდელმა თაობამ შესცვალა, მან ისევ პოლიტიკა გაამეფა. 1905 წლის საქართველო 1811 და 1832 წლის საქართველოს უფრო ჰგავს, ვიდრე მესამოცისას. გამოვიდა რაღაც დიალექტიური ტრიადა, რომელმაც პოლიტიკისა და საქმიანობის სინტეზი უნდა მოგვცეს. და მე მგონია საქმის კაცის ნ. ნიკოლაძის ჩვენს პოლიტიკით სავსე ცხოვრებაში ხელახლა ჩარევას ამ სინტეზის ბეჭედი აზის.

შ. ამირეჯიბი.

საზოგადოებანი და კრებები

მოვაგონებთ მკითხველებს, რომ დღეს, საღამოს 8 საათზე თავადაზნაურთა დეპუტატების საკრებულოში დანიშნულია **საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრება**, რომელზედაც სხვათა შორის გარჩეულ იქნება ს. რ. გორგაძის **რეფერატი ქართულ მართლწერის შესახებ.** თეზისები ამ მოხსენებისა შემდეგია:

1. აუცილებლად საჭიროა აღდგენილ იქმნას ასო ჲ (ნახევრათ ხმოვანი ი). 2. წმინდა ფონეტიკური პრინციპი ქართულს მართლწერაში გამოუსადეგარია პრაქტიკულად და შეუწყნარებელია არსებითად. 3. მთავარი სასწორმეტყველო და საორთოგრაფიო პრინციპი, რომელიც თანამედროვე სალიტერატურო ქართულს საფუძვლად უნდა დაედოს, ასეთია: ენის ცოცხალს ფორმებს უნდა მიეცეს უპირატესობა მკვდარის ფორმების წინაშე. 4. მაგრამ, როცა ძველის მკვდარის ფორმის საბადლოდ ცოცხალ ქართულში ორი ან მეტი ახალი ფორმა მოიპოვება, მაშინ მწერლობაში უპირატესობა უნდა მიეცეს იმ ცოცხალს ფორმას, რომელიც გენეტიურად უფრო ახლოს დგას ძველ ფორმასთან. 5. საზოგადოდ კი მწერლობაში უპირატესობა უნდა მიეცეს მორფოლოგიურად სწორს ფორმებს ფონეტიკური ფორმების წინაშე. 6. უცხო ენებიდან შემოტანილ სიტყვათა მართლწერაში ერთი მხრით ანგარიში ნუდა გავუწიოთ ქართული ენის ფონეტიკას და მორფოლოგიას, მეორე მხრით უნდა ვეცადოთ ამ სიტყვების მართლწერა მივუახლვოთ მათს ფონეტიკურს სახეს (გამოთქმას) პირველ დედანში, საიდანაც ეს სიტყვები ნასესხებია. 7. საჭიროა გამარტივებულ იქმნას სასვენებელ ნიშანთა ხმარება, განსაკუთრებით ეგრედ წოდებულის მძიმის (,), სახელდობრ: მძიმე სრულიად საჭირო არაა იმ შემთხვევაში, როცა სიტყვათა შორის ან წინადადებათა საზღვარზე უკვე ზის რომელიმე კავშირი ან მაკავშირებული სიტყვა, რომელნიც ამ შემთხვევაში მძიმის მაგივრობას ეწევიან, ე. ი. ერთი მხრით აკავშირებენ და მეორე მხრით გაჰკვეთენ ხოლმე მეზობელს სიტყვებსა და წინადადებათ.

კავკასიელ ქალთა საზოგადოება.

19 ოქტომბერს ხსენებულ საზოგადოების წევრთა საგანგებო კრება შესდგა. კრებას ხანგრძლივი თათბირი ჰქონდა მუშა ქალთათვის კლუბის ადრე გახსნის შესახებ. არჩეულ იქმნა საგანგებო კომისია, რომელიც კლუბის წევრთა მიერ არჩეულ კომისიასთან ერთად აწარმოებს კლუბის საქმეებს. კომისიაში შედიან: ქ-ნნი თარხანოვისა, ბერეჟიანი, რაკოვსკაია, ორემბოვსკაია, ალიხანოვისა და რაბინოვიჩი; კანდიდატებად—ქ-ნნი ლიბერმანი, გოლინსკაია და გრიქუროვისა.

— კავკასიელ ქალთა საზოგადოება გაიანეს სასწავლებელთან დღეს, 21 ოქტომბერს, ხსნის უსასყიდლო სასადილოს გადმოხვეწილთა 140 ბავშვისათვის. შესდგა სომეხ ქალთა წრე, რომელიც გაუძღვება სასადილოს საქმეებს. სომეხთა ცენტრალ კომიტეტმა თვიურად 500 მან. აღუთქვა სასადილოს.

ახალი ამბავი

◆ **თბილისის ქალაქის გამგეობამ** ცნობა მიიღო, რომ ახალ ბაიაზეთში საკვების უქონლობის გამო დიდს გასაჭირშია ხალხიო: 14,000 სული ერევანში აპირებს გადასახლებასო.

◆ **ა. მ. არღუთინსკი**, თბილისის ქალაქის გამგეობის წევრი, დღეს მიემგზავრება განჯას, სადა მონაწილეობა უნდა მიიღოს გადმოხვეწილ სომეხთა დაბინავების შესახებ.

◆ **საგანგებო კრება.** წარსულ კვირას შეწყვეტილი საგანგებო კრება „ახალ კლუბის“ წევრთა გაგრძელდება მომავალ კვირას, 25 ოქტომბერს. იმ დღეს კრებამ უნდა განიხილოს კრების მამასახლისთა საბჭოს წინადადება შესახებ იმისა, რომ კლუბმა შეიძინოს მომხმარებელ ამხანაგობის, „მეურნის“, 400 პაი, 4,000 მანეთად ღირებული, რომელსაც ნაწილ-ნაწილ შეაგროვებს კლუბი.

◆ **ქართული სცენა სოფლად.** ბ-ნ ქუთაისის გუბერნატორს დაუმტკიცებია ლანჩხუთის დრამატიულ საზოგადოების წესდება. საზოგადოებას აზრად აქვს, სისტემატიურად მართოს წარმოდგენები.

◆ **თბილისის ტრამვაი.** რაც დღე გადის, თბილისის ტრამვაის რიცხვი თანდათან კლებულობს, ხოლო შემოსავალი ტრამვაის უსახელო საზოგადოებას თანდათან ემატება. წინად 130 ვაგონი მუშაობდა და დღიური შემოსავალი ჰქონდა საზოგადოებას 4000 მანეთამდე, ხოლო ამ ჟამად მხოლოდ 80 ვაგონი მუშაობს და დღიური შემოსავალი 7000 მანეთს აღემატება. ამასთანავე ლიანდაგი ტრამვაისა ერთობ უსუფთაოდ არის შენახული და ვაგონების შეკეთებაზე არავინ ზრუნავს, რის გამო ვაგონები ერთობ ნელა დადის.

◆ **მოგზაურობის გადადება.** კავკასიის ქალაქთა ბიუროს თავმჯდომარე ა. ი. ხატისოვი გუშინ ველარ წავიდა ბათომს. მიემგზავრება ხვალ. როგორც ვიცით, იმას აზრად აქვს, ბათომსა და ბათომის ოლქში შეხიზნულ გადმოხვეწილთა რაოდენობის გამორკვევა და მათი ცხოვრების გაუმჯობესობა. ბათომის ქალაქის მოურავის თავ. ანდრონიკაშვილიდან წერილი მიიღო ბ-ნმა ხატისოვმა. ანდრონიკაშვილი ატყობინებს, რომ ბათომის ქალაქის გამგეობა მზადაა, ყოველგვარი თანამშრომლობა გაგიწიოთ და საგანგებო კომიტეტი შეადგინოს, რომელიც გადმოხვეწილ ქართველ მაჰმადიანებზე იზრუნებსო. 23 ოქტომბერს ბათომის ქალაქის საბჭოს საგანგებო კრება ექნება, რომელსაც ბ-ნი ხატისოვი დაესწრება.

◆ **ხოლერა.** 19 ოქტომბერს ქალაქის ლაზარეთში მიიყვანეს ხოლერიანი 1, გარდაიცვალა 1 და გუშინ, 20 ოქტომბერს, ლაზარეთში იმყოფებოდა ხოლერიანი 58 კაცი.

◆ **გადამდები სენი.** გუშინ, 20 ოქტომბერს, ქალაქის საავადმყოფოში იწვნენ: ქუნთრუშიანი 96, სახადიანი 55, საოფლიანი 38, ხუნაგიანი 26, მუცელაიანი 6 და ყვავილიანი 2 კაცი.

◆ **გადმოხვეწილთა სასარგებლოდ.** სომხის საზოგადოება ყულაბებით ფულს შეაგროვებს დღეს გადმოხვეწილ სომეხთა ბავშვების თავშესაფართა სასარგებლოდ. აგრეთვე გაიყიდება სომხურსა და რუსულს ენაზე ერთდღიური გაზეთი „ლუმა“ (წვლილი).

◆ **ხურდა ფული.** სოფლის ვაჭრებმაც მიმალეს ხურდა ფული და გაჭირვებული ხალხი მომეტებულ განსაცდელში ჩავარდა. ლანჩხუთში, მაგალითად, ხურდა ფულის მაგიერ დუქნებში და ფოსტაშიაც მარკებს იძლევიან. მარკა თუ არ აიღე, მთელი მანეთის უნდა ივაჭრო.

◆ **თბილისის ტრამვაის გარშემო.** ტრამვაის მოსამსახურეთ ამას წინად ხანგრძლივი საუბარი ჰქონდათ თბილისის პოლიცმეისტერთან თავიანთ მდგომარეობის და ტრამვაის დირექციის მათდამი მოპყრობის შესახებ. მოსამსახურენი ითხოვენ პოლიცმეისტერისგან მეტს ყურადღებას და დახმარებას დირექტორთან უსიამოვნების დროს.

გუშინწინ თათბირი ჰქონდათ პოლიცმეისტერს და სატრამვაიო ინჟენერს რასინს ტრამვაის გზების, მუშათა თხოვნის და მდგომარეობის განსახილველ-გამოსარკვევად.

◆ **შეშა თბილისში.** თბილისის ქალაქის საშეშო სადგურზე ამ ხანად შეშა საშუალოდ მოდის, მაგრამ მას ბალაჯარისკენ ჰგზავნიან. სადგურზე კიდევ ხშირად ვერ ასწრობენ ხოლმე ვაგონების დაცლას, და იმდროს, როცა სადგურზე რამდენიმე ვაგონი სდგას შეშით დატვირთული, თვით ჩვენს ქალაქს კი შეშა აკლია!..

◆ **ქართული წარმოდგენა.** დღეს საღამოს სახალხო სახლთან არსებულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრე, **კ. შათირიშვილის** რეჟისორობით და **ვასო აბაშიძის** მონაწილეობით, წარმოადგენს იუშკევიჩის პიესას „მეფეს“.

◆ **სამხედრო სამრეწველო კომიტეტში.** ამ თვის 17-ს მოხდა სამხედრო სამრეწველო კომიტეტის შეერთებული თათბირი. ყრილობაში სხვათა შორის მონაწილეობდნენ: თბილისის საბირჟო კომიტეტის წარმომადგენელი და სხვა და სხვა კომერციულ განყოფილების წევრნი. უმთავრეს საკითხად იყო წამოყენებული შესახვევ მასალის და მებამბეობის მდგომარეობის გამორკვევა. გამოირკვა, რომ ჯერჯერობით კავკასიიდან რუსეთის საჭიროებისთვის უნდა მოიტანონ 2 მილიონი ფუთი განწმენდილი ბამბა, ამ რიცხვს ინაწილებს გუბერნიები: ერევნისა, განჯისა, ბაქოსი და თბილისისა. კომიტეტი შუამდგომლობს რკინის გზის სამმართველოს და სხვათა წინაშე, რათა ბამბა თავის დროზე იქმნას მოზიდული.

◆ **44 წლიან მოლაშქრეთა ჯარში გაწვევა.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ სამხედრო უწყებასთან შეთანხმებით, გუბერნატორებს ცირკულიარები დაუგზავნა, სადაც აუწყა, რომ 44 წლიანნი, რომელთაც უკვე მოიხადეს სამხედრო ბეგარა, კვლავ იქმნებიან ჯარში გაწვეულნიო.

◆ **შემოწირულება.** თბილისის არტისტიულმა საზოგადოებამ 100 მან. გაუგზავნა ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას ქართველ მაჰმადიანთა სასარგებლოდ.

◆ **გადმოხვეწილთა ბავშვები.** რუსეთის ქალაქთა კავშირის კავკასიის განყოფილების თავმჯდომარემ ა. ი. ხატისოვმა სთხოვა ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობას, შემატყობინეთ, სად და რამდენი იცით რომელიმე ეროვნების გადმოხვეწილთა ბავშვები, რა უფრო ესაჭიროება მათ და რამდენი ფული იქნება საჭირო იმათ საჭიროების დასაკმაყოფილებლადაო. ეს ცნობები საჭიროა კავშირის განყოფილებისათვის მიტომ, რომ განყოფილებას კერძო კაცთა და სხვა და სხვა ორგანიზაციებიდან შემონაწირი ფული და ნივთები აქვს გადმოხვეწილთა ობოლ ბავშვების სასარგებლოდ. საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობამ აცნობა ბ-ნს ხატისოვს, რომ ჩვენის ცნობით ბათომის ოლქში 450-დე ობოლი ბავშვი მოიპოვება, რომელთა მამები ან სულ დაიღუპნენ, ან უგზოუკვლოდ დაიკარგნენ ოსმალების შემოსევის დროს. ამ ბავშვებს დახმარებას უწევს ჩვენი განყოფილება ბათუმში, მაგრამ უსახსრობის გამო იგი ვერ აკმაყოფილებს ყველა საჭიროებასაო.

◆ **გულშემატკივართა საყურადღებოდ.** როგორც მერისის (ქვედა აჭარა) სასოფლო სკოლის მასწავლებელი ა. დობორჯგინიძე იუწყება, მისი სკოლის მოსწავლენი დიდს გასაჭირს განიცდიან მომეტებული სიღარიბის გამო. ბავშვებს არ აქვთ ტანსაცმელი და ფეხსაცმელი და ამის გამო სწავლას აკლდებიან. როცა დაზამთრდება, მერმედ უფრო გაუჭირდებათ ბავშვებს. ბ-ნი მასწავლებელი დახმარებას თხოულობს ნივთებით და არა ფულად, რადგან იქ არაფრის ყიდვა არ შეიძლება. შეწირულების გაგზავნა შეიძლება სოფ. ქედას (ბათომის ოლქი); აგრეთვე შეწირულებას მიიღებს გასაგზავნად ქართული საქველმოქმედო საზოგადოება.

◆ **სურსათი.** 19 ოქტომბერს თბილისში მოიტანეს: ფქვილი 27 ვაგონი, ხორბალი 7 ვაგონი, შეშა 1 ვაგ., ნავთი 4 ვაგ., ღვინო 2 ვაგ., ხილი 1 ვაგ., ფხვნილი შაქარი 8 ვაგ., შაქარი 388 ფუთი, ბრინჯი 362 ფუთი, თევზი 300 ფუთი, კარტოფილი 100 ფუთი, კვერცხი 112 ფუთი, ყველი 4 ფუთი, კარაქი 3 ფუთი.

შეცდომის გასწორება. გუშინდელს წერილში „ბრძოლის ველზედ“, **დაბეჭდილია:** საგენტოს დეპეშებში პირველად იმას დაეძებენ, თუ **საბერძნეთიდან** რას იუწყებიან ოფიციალადო... **უნდა იყოს:** საგენტოს დეპეშებში პირველად იმას დაეძებ, თუ **სერბეთიდან** რას იუწყებიან ოფიციალადო და სხვა.

დღევანდელ ნომრისთვის აწყობილი ფელეტონი ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზის გამო ვერ იბეჭდება.

პროვინციის ქრონიკა

ქუთაისი.

ქალაქს დარები აღარ ეღირსა, გადაუღებელ წვიმების გამოისად მცხოვრებნი შიშობენ, ვაი თუ რიონი კვლავ ადიდდესო.

— გადაყენებულ იქმნა სამსახურიდან სახალხო სკოლების ინსპექტორი ერმანი.

ფოთი.

ათ ამ თვეს ქალაქ ფოთში თავის ბინიდან გაიტაცეს ვაჭარი სერგო ჭყონია, ვაჭარის გამტაცები ადგილობრივი ბოქაული აღმოჩნდა, რომელმაც ვაჭარი პოლიციაში წაიყვანა გამოურკვეველ მიზეზთა გამო.

დიდი-ჯიხაიში.

ხალხის გაჭირვება მეტად დამაფიქრებელ და ფართე ხასიათს იღებს. სიმინდის შესაძენად ჯერ აქ არავითარი ზომები არ მიუღიათ. უკვე მოვიდა ბრძანება 1897 წლებში დაბადებულთა ჯარში გასაწვევად. ამინდები აქ უვარგისია.

ოზურგეთი.

[illegible] გახსნილ კოოპერატიულმა [illegible] მოქმედება უკვე დაიწყო, 4 ღვინობისთვეს ფურნემ მცხოვრებთ შეღავათიან ფასში პური მიაწოდა, შემდეგში ფურნესთან მოეწყობა სხვა და სხვა სანოვაგის განყოფილებაც.

დ. ყვირილა

12 ღვინობისთვეს ნესტ. გაბილაია წაიკითხა ლექცია კოოპერაციაზე, ხალხი აუარებელი დაესწრო, იყვენ წარმომადგენელნი ზემო იმერეთიდანაც.

ჭიაურში (კახეთი).

ამას წინად აქაურ გლეხს მეურმე ვანო აბულაშვილს თავს დაესხა ორი შეიარაღებული პირი, წაართვეს 65 მანეთი ფულად, პალტო და იარაღი.

სოფელი აბედათი (სამეგრელო).

მთავრობამ ნება დართო ამ სოფელს, გახსნას ოთხ-კლასიანი პირველ დაწყებითი უმაღლესი სკოლა. თავადმა დადიანმა და ჯანჯღავამ მომავალ სკოლას 10 ქცევა მიწა შესწირეს. გაჭირვება აქეთ დიდია, პირველ საჭიროების სანოვაგეს ხშირად სრულებით ვერ ვშოულობთ.

ლიხაური (გურია).

აქ ამჟამად შენდება კოოპერატიული დუქანი, რომელიც ხალხს 2000 მანეთამდე უჯდება, ამასთანავე ხალხმა დაადგინა ხარჯი გაიღოს პირველ-დაწყებითი უმაღლეს სკოლის შენობის ასაგებად. სასიამოვნოა ჩვენი სოფლების ასეთი მხნემუშაობა, საჭიროა მათ სხვა სოფლებმაც მიჰბაძონ.

დ. სამტრედია.

ჩვენს დაბაში ბევრ უწესოებას აქვს ადგილი, ბაზარზე ხალხს მეტად უწესრიგოდ ექცევიან.

ამ დღეებში მოხდა თათბირი სოფლების ახალ საგამგებლო გადარიცხვ-გადმორიცხვისა, სამწუხაროდ ამ ყრილობაზე სოფლელებმა არსებითად ვერაფერი გადასწყვიტეს.

— სამტრედიის კოოპერატივს აზრად აქვს, მახლობელ სოფლებს სანოვაგის შოვნაში დახმარება გაუწიოს.

თელავი.

17 ოქტომბერს ჩამოვიდა წ. კ. საზოგადოების მთავარ გამგეობის მეთვალყურე გ. ბურჭულაძე თელავის განყოფილების სარევიზიოდ. ბ. ბურჭულაძე თელავში სამ დღეს დაჰყოფს.

— ამ დღეებში თელავში ჩამოვიდნენ თბ. სახალხო სკოლების დირექტორი ოდოევი და ინსპექტორი პოგორელოვი. მათ დაათვალიერეს აქაური სამინისტრო უწყების სკოლები და უკან დაბრუნდენ.

— ამ ჟამად თელავის ქალაქის გამგეობა ურიგებს ომში მყოფ ჯარისკაცთა ცოლშვილს ოქტომბრის საზრდოს ფულს.

— თელავში თეთრი პური არ იშოვება, მოთალხოც ნაკლები ცხვება.

ვთხოვთ ჩვენს თანამოაზრეთ დაგვეხმარონ გაზეთის გავრცელებაში

რასა სწერენ

„მეგობარი“ რუსეთის პოლიტიკის შესახებ

შემოქმედების ძალა ორიგინალობაშია. ოფიციალური რუსეთის მესვეურთ კი სწორეთ ეს უკანასკნელი აკლიათ. რაც იყო გუშინ, ესევეა დღეს, რაც არის დღეს, იგივე იქნება ხვალ, ვინც რუსეთს მესვეურობდა და მესვეურობს დღემდი. არა თუ შინაარსი, თვით ფორმაც მოქმედების შინაარსისა ტრადიციულია. ტრადიციულია მაგალითად, როდესაც სასახლის კამარილია ნებით ძლიერ ადამიანზე ოცნებობს; როდის იყო რომ რუსეთის ბიუროკრატია ნებით ძლიერ ადამიანებზე არ ოცნებობდა, ისეთ ადამიანებზე როგორიც იყვენ არაკჩეევი, პობედონოსცევი და სხვა. ტრადიციულია, როდესაც შინაგან საქმეთა ახლად დანიშნული მინისტრი ამბობს:—პოლიტიკას კუჭი ქმნისო, რადგან ოდნავ გადასხვაფერებულად, მაგრამ ამასვე ამბობდა ექს-მინისტრი კოკოვცევი, რომელსაც არა ერთხელ განუცხადებია სათათბიროში:—მომეცით კარგი მოსავალი და მოგცემთ კარგ პოლიტიკასო. ოფიციალური რუსეთის მესვეურთა უძლურებაც სწორეთ ტრადიციათა ამგვარი მიმდევრობა იყო და არის, რადგან ცხოვრება წინ მიდის, იგი ცვალებადია და ვისაც უნდა დროს სძლიოს, იგი დროს მიმდევარი უნდა იყოს.

„თანამედროვე აზრი“ სომეხთა საკითხის შესახებ

ოსმალეთის ომში ჩარევისათანავე სომხეთის განთავისუფლების საკითხიც წამოდგა. ეს ასედაც უნდა მომხდარიყო. დემოკრატიის ვალია ისარგებლოს ყოველი ხელსაყრელი შემთხვევით ეროვნული მონობის ამოსაგდებათ და თავისუფლების დასამყარებლათ. ეს მით უფრო უნდა ითქვას სომხეთის შესახებ, სადაც მცხოვრებთა სიცოცხლე ქურთების ხელშია.

მერე რა გზით შეიძლება სომხეთის საკითხის გადაჭრა და მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ტანჯული ერის განთავისუფლება?

გზის გამოძებნა სომხის კლერიკალურ-ბურჟუაზიულმა წრეებმა იკისრეს და მოქმედებას შეუდგენ. აქ სიტყვა უნდა დავუთმოთ ჩვენს მუდმივ თანამშრომელს ანს, რომელმაც რუსულ ენაზე საყურადღებო წერილი მოათავსა და ზედმიწევნით სწორათ დაახასიათა ის პოლიტიკა, რომელსაც ე. წ. „სომეხთა ნაციონალური ბიურო“ და მისი ამყოლ-დამყოლნი აწარმოებდენ.

„პრესაში არკვევენ—ამბობს ის—სხვა და სხვა პროექტებს სომხეთის მომავალ მოწესრიგების შესახებ. მარა მრავალი ნაკლია ის, რომ ყველა წინადადება შენდება პრობლემატიურ დებულებაზე—ოსმალეთის იმპერიის დაქუცმაცებაზე, ე. ი. დაობენ ჯერ კიდევ ცოცხალი მხეცის ტყავის დანაწილებაზე. აქ აზრი ეყრდნობა არა ფაქტს, წარმოიდგინეთ არც მომავალ სამშვიდობო კონფერენციაზე ძალთა რეალურ განწყობილებას, არამედ სურვილს; ეს ცოტაა, ამ სურვილზე აგებულია არა მხოლოდ სხვა და სხვა პროექტები, არამედ გარკვეული პოლიტიკა და პრაქტიკულ გამოსვლათა მთელი რიგიც. მარა წარმოვიდგინოთ, მხეცი ცოცხალი დარჩა, სურვილი ოცნებად გადაიქცა, რა მოხდა მაშინ? კავკასიის „განმათავისუფლებელთა“ იმედი დაიმსხვრევა, ხოლო სომხეთის ერი ოსმალეთში ისეთ საფრთხეში ჩავარდება, რომელიც მას დედამიწის ზურგიდან სრულიად აღგავს უქადის. ნაციის მომავლის დაკავშირება იმ სახელმწიფოს დაფუშვასთან, რომლის ფარგლებშიც ერი ბინადრობს, ეს ნიშნავს ერის ბედის სათამაშო საგნად გადაქცევას. შეიძლება, ეს ხელსაყრელია იმ წრეებისათვის, რომელთათვის სულ ერთია, ვინ ცხოვრობს ან იცხოვრებს მტრის ტერიტორიაზე, მარა ამ ვაჟბატონების სასარგებლოდ წისქვილის აბრუნება ხალხის ჭეშმარიტ გულშემატკივართაგან—ეს საშიში ავანტიურიზმი იქნება. ყოველნაირი ეროვნული პოლიტიკა, რომელიც არყევს ერის ფიზიკურ არსებობას, გადაჭრით უნდა უარვყოთ“.

წერილი პოზიციებიდან

მოულოდნელად აღმოსავლეთის ფრონტიდან დასავლეთისკენ გამგზავნეს. სამშობლოს განშორება ძალზე მაღონებდა, რადგან ვეჭვობდი, ვაი თუ ველარ დავბრუნდეთქო. ჩემი მოსვლისას ჩვენს ფრონტზე საგერიო ომი სწარმოებდა.

აქ 17 თანამემამულე დამხვდა... დაბა ნ—ში ჩვენ ბრძანება მოგვივიდა შეტევითი ომზე გადავსულიყავით. შეტევითი ომი ბევრს ესიამოვ-

ნა, რადგან სულ უკან უკან დახევა ზოგს განსაკუთრებით კავკასიელთ მეტად აბრაზებდათ.

დაიწყო ბრძოლა. პირველ ხანს ჩვენი საქმე ხასურველად მიდიოდა. ორი სოფელი უკვე წავართვით მტერს, უახლოვდებოდით ქ. ს—ს.

25-ს მტერმა ჩვენზე მრავალ მხრიდან სასტიკი იერიში მოიტანა.

ჩვენმა ჯარმა ველარ გაუძლო!..

იძულებული გახდა უკან დაეხია, ბევრი წინაღმდეგი იყო უკან დახევისა და აქ ლამობდა ბედის გადაწყვეტას.

უკან დახევის შემდგომ საშინელი ბრძოლა მოხდა სოფელ პ—სთან.

მიდამო თოფის წამლის ბოლში გაეხვია. იქ სულდგმულს ვერ შეამჩნევდით. ორივე მხარე თავგანწირული, გამხეცებული ეკვეთებოდა ერთმანეთს. აქ ჯარისკაცნი სიკვდილის წამს ენას გამოყოფდნენ და რაღაცას წყევა-კრულვით წაილუღლუღებდენ...

მეც შემზარდა სანახაობა...

მაგრამ გამახსენდა რომ ომის დროს შებრალება არ წერილა...

თვალებ მორიდებული ერთ ხელში რევორველით და მეორე ხელში ხმლით ვმოქმედებდი...

მტერი გვერევა...

რა ვქნათ...

ოფიცერი ლ. ს—ძე ხმალ მოშიშვლებული მივარდა იქვე მახრჩობელა ბოლისგან გაბრუებულ ჯარისკაცთ და უთხრა:

— არ გრცხვენიათ, ნუ თუ შედრკით; გამომყევით!..

მეომარნი არ იძროდნენ...

მეტი გზა არ იყო კვლავ უკან უნდა დაგვეხია.

დახევა უწესრიგოდ მოხდა. მტერს გაეხარდა და ლამობდა ჩვენს წახდენას.

კავკასიელები გალომდნენ, ყველას სახე გაუცეცხლდა, მტერს მრისხანებით ვეკვეთენით.

— უბედურება ავიცილეთ... დავიხიეთ...

ჩვენს უკან მოსჩანს გადამწვარ-განადგურებული სოფელი, იქ არაფერი დარჩენილა, ნუ თუ ოდესმე კიდევ მოშენდება იქაურობა... ყველანი დაღონებული მოვდიოდით ახალ პოზიციისკენ... გზად ერთ ალაგს მტერი ჩაგვსაფრებოდა, ახლა აქ დაეკიდა ბეწვზე ჩვენი ბედი.

გადარჩენის იმედი არვის ჰქონდა, მტერმა წინადადება მოგვცა, დაგვნებდითო...

ჩვენ არც კი მოუსმინეთ...

ისევ გაჩაღდა დაუნდობელ—შეუბრალებელი ბრძოლა. აქ კი არ მახსოვს, როგორ ვიბრძოდით, მე მტრის ერთი მხედარი მიზანში ამოვიღე, დაუპირდაპირდი, ამდროს ჩემს გვერდით დავარდა შრაპნელი... გავბრუვდი... შემდეგ არ ვიცი, როგორ წავიდა საქმე ან ვინ გაიმარჯვა...

ბრძოლის მესამე დღეს ჩემს თავს ლაზარეთში ვჰგრძნობ...

ერთი ახალ-გაზდა შავთვალ-წარბა სათნოების და, დამტრიალებდა... განვცვიფრდი...

მკლავსა და ფეხებში ჭრილობებმა გამიზრიალეს...

სათნოების და გამომელაპარაკა, იგი მეტად კეთილ ადამიანად მეჩვენა, ვინაობა გამოვჰკითხე.

— ქართველი ვარ.

აჰ! როგორ გამიხარდა.

რა გქვიანთ? რა გვარი ბრძანდებით? აღელვებული ვეკითხები.

— „კნიაჟნა“ ნ...

რათ წამოსულხართ ასე შორს?

— ქმარი აქა მყავს...

მორცხვად მიპასუხა „კნიაჟნამ“.

ბედნიერი მისი ქმარი! ცხრა მთას იქით ბრძოლის ველზე დაჭრილ ქართველ ოფიცერს მშვენიერი საქართველოს ასული, მოსიყვარულე ცოლი, ჭრილობებს უშუშებდა!

მე კი... მე უპატრონოდ ვკვდებოდი უცხოთა შორის, რომ განგებას ჩემი სამშობლოს სათნო ასული აქ არ ჩამოეყვანა...

ირ—დი.

საშინელი წუთი

(ბრძოლის ველზე)

ყოველთვის და ყველგან საამო და მშვენიერია ზაფხულის საღამო ჟამი, როდესაც სიცხე-პაპანაქება ნელდება და გრილი სიო დაჰბერავს ხოლმე არე-მარეს, მაგრამ იგი განსაკუთრებით საამურია და მშვენიერი პოზიციებზე სადაც მრავალი ათასი ჯარისკაცი სხვადასხვა ტომისა და მოდგმისა, ომის გადახდის შემდეგ დასვენებას ეძლევა.

ერთი ასეთი ზაფხულის საღამო იყო, ივლისის შუა რიცხვებში. მზე დასავლეთისკენ იწურებოდა და თვისი სხივებით ცას ნაირ-ნაირად ღებავდა. ნაზი სიო მობიბინე ბალახს ნელნელა არხევდა, თითქო ეალერსებაო.

საათის შვიდი იქნებოდა, როდესაც ჰორიზონტზე რაღაცამ გაიელვა და მთელი ჩვენი ბანაკი გაანათა, ააფერადა... ეს მტრის პროჟექტორი იყო. გაიარა რამოდენიმე წუთმა და მაღლა ჰაერში ოდნავ ბჟუტავი სინათლე გამოჩნდა, რომელიც პირდაპირ თავზე დაგვტრიალებდა. ერთ სინათლეს მოჰყვა მეორე, მესამე.

— აბა, ბიჭებო, მარჯვეთ! ჰაეროპლანი გამოჩნდა—იყვირა ჩვენმა პრაპორშჩიკმა.—არ გვესმოდა რატომ, მაგრამ ყველამ თოფებს წამოვავლეთ ხელი. უცებ ჩვენი პოლკის უფროსის ხმამ იქუხა—ფრთხილად, ჰაეროპლანები თავს გვესხმის...—სიტყვა არც კი გაუთავებია, რომ ციდან გადმოყრილმა ყუმბარებმა საზარელი ხმით იფეთქეს. რაღაც ჯოჯოხეთი დატრიალდა. ჰაერი გასაოცარის სიძლიერით შეინძრა და მიგვანჯღრ-მოგვანჯღრია, დედა-მიწამ დაიზანზარა.

მრავალი ასი სიცოცხლით სავსე ჩვენი ახალგაზდა თვალის დახამხამებაზე წუთი სოფელს გამოესალმა; მათი გვამები ყუმბარა-შრაპნელისაგან ნაკუწ-ნაკუწად იყო დაგლეჯილი. ბანაკის ის ნაწილი, საცა ჩვენ ვიყავით ყუმბარის მოქმედების ფარგლის გარს დარჩა. ბოლოს უფროსი გონს მოვიდა და გვიბრძანა, არტილერია აგვემუშავებინა. ბრძანება მყისვე შეასრულეს და ზარბაზანი დაუშინეს. მტრის ჰაეროპლანებს ვერაფერი დავაკელით და ისინი ცელქურად გასრიალდნენ და მალე თვალთაგან სრულიად მიგვემალნენ.

ძ. მარგალი.

პროვინცია

ვანათი (გორის მაზ.) ეს სოფელი მდებარეობს ქ. გორიდან 35 ვერსის მანძილზე, პატარა ლიახვის ხეობაში, სწორედ იმ ადგილას, სადაც ლიახვს, დაუნახავს რა თავის წინ აღმართული მაღალი მთა, უფიქრია: ტყუილია მე ამას ვერ გავარღვევ, ამაო იქნება ჩემი ცდა და შრომაო, და, აქამდის დასავლეთით მჩქეფარეს, პირი სამხრეთისაკენ უქნია. სოფ. ვანათი მდებარეობს ლიახვის მარჯვენა მხარეზე; ეს ნაპირი დაბალია და სახნავ-სათესად გამოსადეგი; მარცხენა ნაპირი მაღალია, კლდიანია და სწორედ აქ არის აშენებული ძველი ციხე, ან უკვე თითქმის სრულებით დანგრეული. ამ ციხის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი თავის გეოგრაფიაში მოგვითხრობს, რომ იგი „შემუსვრილ განაახლა შანშემ, შემუსვრეს კვლავ ყიზილბაშებმა; ციხის უკან ჩრდილოთ არს კლდე მაღალი, ქარაფოვანი, მჴვრეტი ლიახვისა და მას შინა ქვაბნი გამოკვეთილნი“ო. სოფელში სთქვეს, რომ ეს ციხე არის აშენებული ან განახლებული მე-17 საუკუნეში, თუ არ ვსცდები, მეფე სვიმონ II მიერო. სოფელი შეიცავს 80 კომლს და განიყოფება ორ ნაწილად, რომელნიც ნახევარ ვერსით ან ცოტა ნაკლებით არიან ერთმანეთს დაშორებულნი. ამ ორ ნაწილს შუა არის პატარა სოფლის საყდარი ახლად აშენებული; საყდარზე ცოტა მოშორებით სდგას ვეებერთელა შენობა; ეს არის სოფლის სკოლა, რომლის შენობაც არის აშენებული კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების მიერ. იგივე საზოგადოება ინახავს ამ სკოლას თვის ხარჯით: კლასებს უჭირავთ ორი ოთახი, ოთახები მაღლები და ფართოებია; კლასების კარებებს შუაგული დაუკარგავთ და საცოდავად დაუღრენიათ ხახა, ფანჯრების მინები დამტვრეულია და სთქვეს: თვით ზამთარშიაც, სწავლის დროს, არ ელირსებათ ხოლმე მათ მინებიო; დაფა ერთ კლასში ცალ ფეხაა, მისწოლია კედელს, თითქოს დიდი შრომით დაღლილაო და მნახველებს თითქოს ეუბნება: ჰა, ხელი არ მახლოთ, თორემ წამოვიქცევიო. კედლებს, ვგონებ თავის დღეში ცარცით შეღება არ ღირსებიათ. ერთ კლასში იდგა, თუ არა ვსცდები, ექვსი მაგიდა ბავშვებისათვის და მეორეში სამი თუ ოთხი, თითო მაგიდა ორ ადგილიანი. ვიკითხე: რამდენი მოწაფე ჰყავთ მასწავლებლებს-მეთქი?—ორმოცზე მეტიო; მიპასუხეს. და როდესაც შევეკითხე, სულ ამ ათს მაგიდაზე ეტევიან მეთქი, მომიგეს: არა, ზოგი იატაკზე მუცლზე წევს და ისე სწავლობსო. საბრალო ბავშვები! ამისათანა სწავლას, როდესაც უხდებათ მუცელზე ფოფხვა და ცივ და ნაგვიან იატაკზე წოლა, რა მადლი უნდა ჰქონდეს? სკოლას პარტები არა აქვს. ეს იმ დროს, როდესაც სკოლა ეკუთვნის ცნობილ საზოგადოებას, ქრისტიანობის აღმადგენელს და გამავრცელებელს. ნუ თუ გაუჭირდა რამდენიმე პარტების შეძენა ამ ქრისტიანულ საზოგადოებას, იმავე დროს, როდესაც ჩვენ ქრისტიანულ საყდრის შემოსავალი, რომელიც რუსეთისკენ მიდის, მილიონობით განისაზღვრება?

ამ სამი წლის წინად მოსულია ამ სკოლის მახლობლად მოსამსახურე მოძღვარს 300 მანეთი შენობის შესაკეთებლად; ის არ ვიცი რავდენად მიახწია დანიშნულებამდე ამ ფულმა, ის კი ვიცი, რომ წვიმის წყალი სახურავიდან კვლავ დაბლა სართულამდის ატანს. ისიც სთქვეს სასწავლებელს რამდენიმე ასი წიგნი ჰქონდაო და ეხლა ნახევარიც აღარ არისო.

სოხო.

ს. მაღლაკი (ქუთაისის მაზრა). ქვემო იმერეთში ძნელად ნახავთ ისეთ სოფელს, რომ თავის საკუთარი სკოლა არ ჰქონდეს. იმისთანა სოფლებიც ბევრია, რომ ორი-სამი სკოლა აქვთ. ასეთი სკოლების სიმრავლე ხალხის შეგნებასა და ადგილობრივ ინტელიგენციის ერთგულ მუშაობას უნდა მივაწეროთ. ხონისა და დიდი ჯიხაიშის შემდეგ, სწავლა-განათლების მხრით, სოფელს მაღლაკს ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. ამ სოფელში არსებობს ორი ორ კლასიანი სამინისტრო სკოლა და ორი თითო კლასიანი—ერთი სამრევლო და ერთიც სამინისტრო სკოლა. აქაური ორ კლასიანი სასწავლებლები ერთი ზედა მაღლაკშია მოთავსებული და მეორე ქვედა მაღლაკში. ერთი ერთმანეთზე ეს ორ კლასიანი სასწავლებლები სამი ვერსის მანძილით იქნებიან დაშორებული. ქვედა მაღლაკის სასწავლებელი სულ სამი-ოთხი წელიწადი არის რაც არსებობს და მის გახსნასა და არსებობას ორს ადგილობრივ შეგნებულ პირს უნდა ვუმადლოდეთ. ეს პირები არიან ალექსი ბეჟანისძე დეისაძე და ხსენებული სასწავლებლის მართველი ვასილ სპირდონის-ძე ბიბილეიშვილი. პირველმა მათგანმა მშვენიერი ქვის შენობა თუნუქით დახურილი აუშენა სკოლას. სკოლის შენობა ქვედა სართულში სამი დიდი საკლასო ოთახებისაგან შესდგება და ზევიდგან ოთხი ოთახი აქვს დაშენებული მასწავლებლების ბინად. ბ. დეისაძის შეწირულება, სულ მცირე, ოთხი ათას მანეთს აღემატება. ყველამ ვიცით, რომ მარტო შენობა საკმარისი არ არის რომ შიგ სწავლა-მეცადინეობა გაჩაღდეს. წესიერი სწავლისათვის მრავალი სამკაულობაა საჭირო და ამას კი ყველას ქვედა მაღლაკის სასწავლებელი მოკლებული იყო, ვინაიდგან ხალხმა, სხვა და სხვა მიზეზების გამო თავის მოვალეობად არ იკისრა სასწავლებლის მოწყობა. სკოლის მორთვა-მოკაზმვა წილად ხვდა ბ. ვასილ ბიბილეიშვილს. სკოლის გახსნისთანავე, ეს დაუღალავი მუშაკი, სამწუხაროდ არ მოხვედრია სკოლას სათავეში, თორემ ეს სასწავლებელი დღეს ბევრად უკეთეს მდგომარეობაში იქნებოდა. საუბედუროდ ახალ საქმეს ახალი და გამოუცდელი მასწავლებელი ტ. მ-ძე ხვდა წილად, რომელმაც თითქმის სიკვდილის პირამდი მიიყვანა სასწავლებელი. როდესაც ბ. ბიბილეიშვილი დარწმუნდა, რომ მისი სამშობლო სოფლის სკოლის მდგომარეობა განსაცდელში იყო ჩავარდნილი, მან უარყო პირადი სარგებლობა (მახლობელ მშვენივრად მოწყობილ სკოლაში იყო მასწავლებლად) და განსაცდელში მყოფ სასწავლებელს ჩაუდგა სათავეში. დღეს მისის მეცადინეობით თითქმის სკოლას აღარაფერი არ აკლია. სკოლის ფართო ეზო მშვენივრად არის შემოკავებული და შიგ ათას გვარი სასარგებლო ხე არის დარგული; იქვე სკოლის ახლოს მშვენიერი ჰა არის ამოყვანილი. თითონ საკლასო ოთახები ნამდვილ ევროპიულ გემოზეა მოწყობილი: ახალი სისტემის პარტები, მასწავლებლებისათვის მაგიდა და სკამები, კედლის საათი, ყოველგვარი თვალსაჩინო სურათები, წკრიალა ზარი, იქვე სასკოლო შენობის დერეფანში მოწყობილი მოსწავლეებისათვის წყლის დასალევი ჭურჭელი და სუფთად დაგვილი სასკოლო ოთახების იატაკი მოწმობენ, რომ ბ. ვასილ ბიბილეიშვილი თავის საქმის მცოდნეც არის და მოყვარულიც. სკოლაში სულიერ მხარესაც ჯეროვანი ყურადღება აქვს მიქცეული. მოსწავლეები ყოველ კვირა-უქმე დღეებში, მასწავლებლების თანხლებით, ადგილობრივ ეკლესიაში დაიარებიან და წირვა-ლოცვას ისმენენ. ღმერთმა ბევრი ჰქნას ბ. ბიბილეიშვილისთანა ერთგული და მუყაითი მასწავლებელი ჩვენს ტურფა და ლამაზ საქართველოში.

მ. ბუაჩიძე.

მოწოდება

სოფლის გულშემატკივართა მიმართ.

ამ მოკლე ხანში სოფ. ბეკამში, აქაურ გლეხობის თაოსნობით წერა-კითხვის საზოგადოება ჰხსნის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს. დიდის მოუთმენლობით მოველით იმ დროს როდესაც ჩვენც გვეღირსება წიგნების და გაზეთების წაკითხვით ჩვენ ბნელ გონებას ნათელი მოვფინოთ. ჩვენ კარგად ვიცით რომ ქართველებს ჰყავთ ისეთი დიდი მწერლები, როგორიც არიან აკაკი, ილია ჭავჭავაძე, ვაჟაფშაველა და ბევრი კიდევ სხვები, რომელნიც თავიანთ ნაწერებით ჩვენისთანა ბნელ ხალხის განათლებას ემსახურებიან, მაგრამ დღემდე ჩვენი დუხჭირი და მწარე ბედი ამას ჩვენთვის არ იმეტებდა და არც ჩვენში იყო საკმაო შეგნება... დღეს კი ზარბაზნების და თოფების საშინელმა გრიალმა სხვებთან ერთად ჩვენც გამოგვაფხიზლა და დაგვანახვა, რომ სწავლა განათლება იმარჯვებს ბნელ უმეცრებაზედ და მომავალი სწავლულს, გონება გახსნილს ეკუთვნის, ამიტომ არაფერი არ დავზოგეთ რომ სამკითხველოს გარდა სათეატრო შენობაც აგვეგო და სკოლაც გაგვეფართოვებინა, თუმცა საამისოდ წრევანდელი სიძვირე და გაჭირება ხელს არ გვიწყობდა. ეხლა ჩვენი საზრუნავი მხოლოდ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს მოწყობაა. გვჭირდება ქართული წიგნები გაზეთები, რის შეძენა დღევანდელ პირობებში ჩვენს ჯიბეს არ შეუძლიან. ამიტომ მივმართავთ ყველა შეგნებულ გულშემატკივართ, ვისაც კი მოეპოება რაიმე ქართული წიგნი და ემეტება შესაწირავად, მოაწოდოს ჩვენს სამკითხველოს. ხშირად გაგვიგონია რომ სოფელს ბევრი მექომაგე და კეთილ მოსურნე ჰყავსო, ჩვენი თხოვნაც სწორედ ამ გვარ ხალხისკენ არის მიმართული და გვჯერა რომ არც უნაყოფო იქნება.

დიდის მადლობით მივიღებთ ყოველივე შემოწირულებას რასაც კი სოფლელის გონების გახსნა-განვითარებას შეუწყობს ხელს.

თუ შემომწირველთ ფოსტის გადასახადი შეაწუხებთ, მაშინ ვთხოვთ ფას დადებით გამოგზავნონ ან თავიანთი მისამართი გვაცნობონ და ჩვენ როგორმე წამოვიღებთ.

შემოწირულება გამოიგზავნება შემდეგ მისამართით: Сурамъ (село Беками) Петру Лалуашвили.

სოფელ ბეკმის სამკითხველოს დამაარსებელთა სახელით გლეხები: გორა ხინჩაკაძე პეტრე ლალუაშვილი.

ვთხოვთ სხვა ქართულ გაზეთებს ეს ჩვენი თხოვნა გადაბეჭდონ.

დეპეშები

თეირანი, 19 ოქტომბ. იმპერატორის მთავრობის ბრძანებისაებრ რუსის ელჩმა აცნობა შაჰის მთავრობას, რომ თუ გამართლდა ხმები სპარსეთისა და ოსმალეთ-გერმანეთის ხელშეკრულობის შესახებ, მაშინ რუსეთ-ინგლისის კონვენცია, რომელსაც საფუძვლად უძევს სპარსეთის სახელმწიფოს ხელშეუხებლობა, თავისთავად მნიშვნელობას დაჰკარგავსო. ამ ხმების თანახმადვე ინგლისის ელჩმა გადასცა სპარსეთის გარეშე საქმეთა მინისტრს ნოტა, რომლითაც აუწყა, რომ თუ საჭიროება მოითხოვს, ინგლისს შეუძლიან თავის ქვეშევრდომთა დაფარვა, მაგრამ იცოდეს შაჰმა და მისმა მთავრობამ, რომ მთელი პასუხისმგებლობა მათ კისერზე იქნებაო.

პარიჟი, 19 ოქტომბერი. 16 ოქტომბრის დღემ მშვიდობიანად ჩაიარა. რაბროვის ჩრდილოეთით მოწინავე რაზმთა შეტაკება მოხდა. საარტილერიო სროლა გაჩაღდა. კრივოლაკში საშინელი ზარბაზნის გრიალი ისმოდა ველესის მხრით.

მთაშავეთი, 16 ოქტ. რაკი მტერს მაშველი ჯარი მოუვიდა, ადვილად მოახერხეს ჩვენი პოზიციების აღება მთაზე. ჩვენ დავიხიეთ უკანა პოზიციებზე და დიდ ზარალს ვაყენებთ მტერს. დრინაზე საშინელი საარტილერიო სროლაა. მთელ ფრონტის გასწვრივ შეუწყვეტელი თოფის სროლაა.

რომი, 18 ოქტომბ. დილით 16 ოქტომბერს მტრის ჯარები სცდილობდნენ ჩვენს პოზიციებზე გამოელაშქრათ მდ. ტორასთან, მაგრამ ამაოდ. თავის მხრით შემდეგ ჩვენ შევუტიეთ. სასტიკი სისხლის ღვრა ასტყდა. მტერმა დასტოვა 200 გვამი, 49 ჯარის კაცი ტყვედ წამოვიყვანეთ. დაველად ასი თოფი დაგვრჩა. რიენცის ზემოდ 17 ოქტომბერს მტერმა საგრძნობელ ძალით მოიტანა იერიში სექსტენშტეინის პოზიციებზე. სასტიკი წინააღმდეგობის შემდეგ ჩვენი ჯარები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. მდ. იზონცოზე მთელი დღის განმავლობაში გუშინ საარტილერიო სროლა არ შეწყვეტილა. ამის გარდა ორივე მხარის ქვეითა ჯარებმა ერთმანეთზე იერიში მოიტანეს. სანტა მასიას მაღლობზე ჩვენ ავიღეთ მტრის პოზიცია და 15 კაცი ჩაგვივარდა ტყვედ.

ლონდონი, 18 ოქტომბერს ბრიანმა ჩაიბარა თუ არა გარეშე საქმეთა მინისტრის პორთფელი, სერ ედუარდ გრეის ტელეგრამით განუცხადა, რომ საფრანგეთი იმ პოლიტიკას და გარდაწყვეტილებას ადგია, რასაც ადგა ომის დაწყებიდანაო. ბედნიერად ჰრაცხს, რომ საფრანგეთისა და ინგლისს შეეძლებათ მუდამ ერთად ბრძოლა საზოგადო მტრის წინააღმდეგ.

— მეფის მდგომარეობა უმჯობესდება. მაჯის ცემა ნორმალურია.

პარიჟი, 18 ოქტ. სუშეს ჩრდილოაღმოსავლეთით საარტილერიო სროლაა. ნევილ-სენ-ვაასტის ჩრდილო-აღმოსავლეთით სასტიკი ბრძოლა იყო იმ თხრილების დასაბრუნებლად, სადაც გუშინ გერმანელები შემოიჭრენ. შამპანში ძლიერი საარტილერიო სროლის შემდეგ, მსხვილ კალიბრიან ყუმბარებით გამოუშვეს მახრჩობელა ბოლი და ისე წამოვიდნენ იერიშით. ოთხჯერ განმეორდა იერიში, მაგრამ ოთხჯერვე მოგერებულ იქმნენ. ასეთივე საშინელი სროლაა ვოგეზებში ბან-დე-საპტას მახლობლად.

კრალევო, 15 ოქტ. სასტიკი ბრძოლაა წინა ხაზის უკანა რიგში. პირტის დამცველი ლაშქარი უკანა ხაზზე გადავიდა. რამდენიმე იერიშის შემდეგ მტერმა დაიჭირა კოჩინსკის ულელტეხილი. ჩრდილო-დასავლეთ ფრონტზე მტრის სიძლიერის გამო სერბებმა რამდენიმე კილომეტრით დაიხიეს უკან. მტრის რაზმებში შენიშნულია ახალი ბავარიის ჯარები და ავსტრიელთა ალპიის მსროლელნი. ბელგრადის დამცველმა ჯარებმა დიდი მამაცობა გამოიჩინეს. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

მადლობის წერილი

თბილისის ქალაქთა № მე-12-ტე ლაზარეთში მწოლი დაჭრილ-დაავადმყოფებული ჯარისკაცები უღრმეს მადლობას უცხადებთ თბილისის ქართულ გიმნაზიის მოწაფეებს, რომლებმაც ინებეს კეთილი და ჩვენდა გასართობად გამართეს ოქტომბრის 11-ს საღამოს „სამუსიკო საღამო“.

თბილისის ქალაქთა № მე-12-ტე ლაზარეთში მწოლი დაჭრილ-დაავადმყოფებულების მონდობილობით.

თ. ტ—ძე.

წერილი რედაქციის მიმართ

იმედი მაქვს ამ ჩემს წერილს თქვენს პატივცემულ გაზეთ „საქართველოში“ ადგილს დაუთმობთ პასუხად იმ ცილისწამებით სავსე ამბისა, რომელიც დაისტამბა „საქართველოს“ 89 ნომერში, ოქტომბრის 10-ს, ამ სათაურით: „სოფ. მათხოჯი (ქვემო იმერეთი)“.

ამ ამბის დამწერს თავი ამოუფარებია ასოებს „ს—ა“. მოამბე ბრძანებს, ბევრი რამ საყურადღებო გავიგე მონასტრის ცხოვრებიდან, ყველას ეხლა ვერ მოვთვლიო“, ამ „ბევრისაგან“ მხოლოდ ერთი ჭორი მოუყვანია. წარმოიდგინეთ, მკითხველო, ვიღაც ქალი მოსულა და ჩვენ გაგვიგდია. ულეველად მოდის მლოცავი, აგერ ოცდა ათი წელიწადია მათხოჯის წმინდა ნინოს დედათა სავანე არსებობს და არ გაგონილა დღემდე, რომ რომელიმე მლოცველისათვის რომელიმე დას სავანისას შეურაცხყოფა მიეყენებინოს. მოამბეს უნდა აეხსნა, სად და რისთვის უწოდეს იმ ვიღაც ქალს „როსკიპი“, უნდა გარკვევით ეთქვა, ვინ იყო ის ქალი; თუ ის შეიტყო, სავანეზე მახლობელ სოფელში საქმრო ჰყავდა, ისიც ეცოდინება, ვინ იყო იგი, სადაური, რა ზნისა და რაღა იმას შეახვედრეს უსიამოვნება, თუ კი მართლა შეახვედრეს

მე კარგად ვიცი, ვინც ბრძანდება მოამბე „ს—ა“, რითი ხელმძღვანელობდა, როცა ასეთი ჭორები უთავაზა რედაქციას. მე თხოვნით მივმართავ ჩვენს მღვდელ-მთავარს, სასტიკი გამოძიება დანიშნოს **ბ. ს—ას** ამბის გამო. თუ კაცია, მაშინ აიხადოს ნიღაბი მოამბემ და საჯარო გამოძიების დროს დაამტკიცოს ის ბრალდება, რომელიც ასე უშვერად მიაწოდა „საქართველოს“ და მის რედაქცია შეცდომაში შეიყვანა. როცა გამოძიებით შავი და თეთრი გამოჩნდება, მაშინ მე და თქვენ, ბ. ს—ა, წარვდგეთ ქართველ საზოგადოების წინაშე და ვსთხოვოთ მსჯავრი მან დაგვდოს.

მათხოჯის წმ. ნინოს სავანის წინამძღვარი მოლაზონი **ანასტასია**.

---

*) გვესმის ადამიანის გულმოსულობა და გაცხარება ზოგიერთ შემთხვევაში, მაგრამ სათნოება უნდა უკრძალავდეს ისეთ სიტყვების ხმარებას, როგორიცაა „როსკიპი“, რასაც სძრახავს ჩვენი კორესპონდენტიც და რაიცა მართლა თქმულა, გვჯერა რომ განსაკუთრებულ პირობებში. რედ.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

კახეთის რკინის გზის მიმოსვლა.

(თბილისის დრო)

მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.

თბილისიდან გადის:

თელავისა დ წნორისკენ დილ.	8 ს. 58 წ.
გურჯაანში მიდის ნაშუადღევის	3 ს. 53 წ.
გურჯაანიდან გადის თელავისკენ ნაშუადღევის	4 ს. 53 წ.
თელავში მიდის ნაშუადღევის	5 ს. 35 წ.
გურჯაანიდან წნორზე მიდის	4 ს. 18 წ.
წნორზე მიდის	5 ს. 15 წ.

თელავიდან ყოველ დღე გამოდის თბილისისკენ:

დილის	8 ს. 58 წ.
გურჯაანში მოდის	10 ს. 26 წ.
წნორიდან თბილისისკენ გამოდის დილის	10 ს. 16 წ.
გურჯაანში მიდის	10 ს. 16 წ.
გურჯაანიდან თბილისისკენ გამოდის დილის	10 ს. 46 წ.

თბილისში ჩამოდის 5 საათზე.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისში მოდის:

№ 3 ბაქოდან	12 ს. 54 წ. დღ.
№ 4 ბათომიდან	5 ს. 55 წ. საღ.
№ 5 ბაქოდან (სწრაფი)	7 ს. 41 წ. საღ.
№ 10 ბათომიდან	9 ს. 51 წ. დილ.
ჯულფიდან	6 ს. 53 წ. დილ.
ბორჯომიდან	7 ს. 25 წ. დილ.
„ საგარ.	10 ს. 28 წ. საღ.

თბილისიდან გადის:

№ 3 ბათომისკენ	1 ს. 45 წ. დღ.
№ 4 ბაქოსკენ	7 ს. 3 წ. საღ.
№ 6 ბაქოს (სწრაფი)	12 ს. 8 წ. დღ.
№ 9 ბათომისკენ	8 ს. [illegible] წ. საღ.
ჯულფისკენ	10 ს. 23 წ. საღ.
ბორჯომისკენ	3 ს. 29 წ. დღ.

1 მაისიდან ქ. თბილისში გაიხსნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა
„განათლება“
ჯერჯერობით აგენტებს გაეგზავნებათ შემდეგი გაზეთები: „საქართველო“, „თანამედროვე აზრი“, „ეშ მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „კავკაზსკოე სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“ და იყიდება ახლად გამოცემული წიგნი ა. ალდონისა **„აკაკი და მისი პოეზია“** (რუსულ ენაზე), **„სქესობრივი საკითხი და ბავშვი“** ი. გომართელისა, **„მსოფლიო ომის ეკონომიური მიზეზები“**—მასლოვისა, **„ცხოვრების სიმღერები“**—ბეგლარ ახოსპირელისა, **„კოოპერატივები იტალიაში“**—ნ. ჟორდანიასი და სხვადასხვა ქართული წიგნები.
აგენტები ვალდებულნი არიან მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინდაწინ გადაიხადონ.
ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.
კანტორის ადრესი: Ольгинская 6.

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეზველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ, სახ, № 9, ტელეფონი № 712.
განყოფილება ავლაბარში
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.
ჩოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. **„ლ. მაილოვის-შვით“**, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი **„მეშოჩნი“** ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

[illegible] ქ. № 5.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან